№ 15.

წელიწადი პირველი

# ივერია

9 ივნისი 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —

თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. აწმყო აღმოსავლეთის საქმისა. — II საქართველოს მატიანე. — III. ომის ამბები. — IV. საპოლიტიკო მიმოხილვა. — V. ეტნოგრაფიული განხილვა, (გაგრძელება) დ. ჩუბინოვისა. — VI. ოსმალეთის საქართველო. — VII. ქალაქის სცენებისაგან.

## აწმყო აღმოსავლეთის საქმისა

—

მას აქეთ, რაც რუსეთისა და ოსმალეთის შორის ომი ასტყდა, ევროპიის პოლიტიკა თითქო შედგა. თითქო დიპლომატიის ხმაურობა ზარბაზნების გრიალს ვერ აუვიდა და შესწყდა. დიპლომატიის მოღვაწეობა ხომ თავად ისეც დიდი საიდუმლოა და ლიტონის ადამიანისათვის მიუწდომელი, და ომის ატეხის შემდეგ კი რაღა კითხვა უნდოდა, რომ სრულებით ფარდა ჩამოეფარებოდა გარეშე კაცის თვალთა წინაშე.

მაგრამ თუ დიპლომატიის იდუმალი აზრი არ ვიცით; თუ არ ვიცით ნამდვილად რა გზას დაადგება ერთი თუ მეორე სახელმწიფო მომავალ პოლიტიკაში, ის კი ვიცით — რა ნიადაგზედ იხეირებს ეს პოლიტიკა, რა საქმეების მიხედვით გაიკვალავს გზას და რა მოვლენა ამოქმედებს მის მიდრეკილებას. თუმცა ევროპიის ჟურნალ-გაზეთობა ენა-გრძელია, მაგრამ მის ჭორიკანაობაში ათი რომ ტყუილი იყოს ერთი ხომ მართალი იქნება. მაშ შესაძლოა ვცნოთ რა მოხდა და რა თქმულა აღმოსავლეთის საქმის შესახებ ამ თითქმის ორის თვის განმავლობაში.

ომის დაწყებითვე რუსეთის საქმე ძალიან კარგად წავიდა, მეტადრე მცირე აზიაში, სადაც რუსის ჯარი კარგა დიდ მანძილზედ არის წინ წამდგარი და ცოტაღა უკლია ყარსის აღებას და აზრუმამდე მისვლას. თუმცა დუნაიის მხედრობას ჯერ არავითარი შესანიშნავი ბრძოლა არა ჰქონია ოსმალებთან, მაგრამ იქაც კაი დიდი საქმე მოუხდათ რუსებსა: ოსმალეთის ორი ძლიერი ჯავშნიანი ხომალდი ააფეთქეს და დაღუპეს. რუსეთს მიუდგა რუმინია, რომელმაც სრული თავისუფლება და ოსმალეთისაგან უმოკიდებულება გამოაცხადა. გარდა ამისა ჩერნოგორიამაც ხელმეორედ აუტეხა ოსმალეთსა ომი. თვითონ ოსმალეთის შინაობაშიაც, მაგალითებრ სტამბოლში, დიდი უკმაყოფილება წარმოსდგა: ოსმალეთის ქვეშევრდომნი მცირე აზიაში რამდენსამე ალაგას სიხარულით გადმოეცნენ რუსებსა; ოსმალეთის პარლამენტისა და მთავრობის შორის უთანხმოება და თითქმის მტრობაც აღმოჩნდა. აქ შესანიშნავი მეტადრე ის არის, რომ პარლამენტის წევრნი ქრისტიანნი თუ მაჰმადიანნი ერთნაირად და ერთგვარს ჩივილს უცხადებდნენ და უცხადებენ კიდეც მთავრობას და ერთგვარს ცვლილებებს თხოულობდნენ მთავრობისაგან. ეს გარემოება შესანიშნავია მეტქი, რადგანაც ცხადად გვიჩვენებს, რომ ოსმალეთის ქვეშევრდომთა ტკივილი ყველასი ერთი და იგივეა, სარწმუნოება, გვარტომობა აქ ერთობას არ უშლის.

ერთის სიტყვით, ოსმალეთის საქმე ძალიან ცუდად მიდიოდა და მიდის კიდეც, ასე რომ ოსმალეთის სახელმწიფოის დარღვევა არავისთვის საეჭვო აღარ არის თუ სხვა რომელიმე სახელმწიფო არ მიეშველება. ვისი იმედი ჰქონდა და აქვს ოსმალეთს? რასაკვირველია, ყველაზე უწინარესს ინგლისისა, რომელიც ეს ორი წელიწადია სულ ოსმალეთის დაურღვევლობასა და ხელუხლებლობას ჰქადაგებს. მაგრამ ეს ორი თვეა რაც ოსმალეთი ებრძვის რუსეთსა და გაჭირებაშია, ჩავარდნილი და ინგლისს კი მისთვის ჯერ არავითარი შემწეობა არ მიუცია. ცხადს შემწეობას ვამბობთ თორემ ფულით, იარაღით და სხვა ამ გვარებით კი ინგლისი ოსმალეთს ძალიან ეწევა.

ჩვენ გაზეთში ადრევაც იყო მოხსენებული თუ რისგამო სტკივა გული ინგლისს ოსმალეთისათვის ე. ი. რად უნდა ინგლისს ოსმალეთის სახელმწიფოს დაცვა. მოხსენებული იყო, რომ ამის მიზეზი ინგლისის ეკონომიური განწყობილებაა, რომლის ძალითაც შინაური წარმოება და მოსავალი არ ეკმარება აუარებელის მშიერის ხალხის გასაძღომად და ინგლისი იძულებულია გარეშე ქვეყნებში მოძებნოს როგორც სამუშაო მასალა თავის ქარხნებისათვის, აგრეთვე იმისთანა ფართო ადგილები, სადაც მეტი მჭამელების გარდასახლება შეიძლებოდეს. ინგლისი, როგორც სახელმწიფო, მართალია მდიდარია, მაგრამ მის სიმდიდრეს ხალხის საშინელი სიღარიბე და სიგლახაკეც თანსდევს. ხალხის აუარებელს უმრავლესობას, როგორღაც მოგეხსენებათ, არავითარი ქონება და სარჩო არა აქვს, და მთელი მამულიანობა მხოლოდ რამდენიმე არისტოკრატის ხელში ჩავარდნილა.

ინგლისი უყურებდა ოსმალეთს, როგორც შესამუშავებელის მასალის მიმცემს და ეშინოდა ვაი თუ სხვა განათლებულმა და გამჭრიახმა სახელმწიფომ ხელი ჩაავლოს ოსმალეთსაო და ეს მასალა თვითონ მოიხმაროსო და ხელიდგან მე გამომგლიჯოსო. გარდა ამისა მოხსენებული იყო რომ ინგლისს ეშინიან სტამბოლის დამჭერმა ინდოეთის გზა არ შემიკრასო, რომელიც სუეცის არხზედ გადის. ეს მეორე ტკივილი უფრო საგრძნობელია ინგლისისათვის ვიდრე პირველი, ინგლისი, როგორც მოგეხსენებათ, ინდოეთს ჰსწოვს და ამით აძღობს თავის ხალხს, და მისი გზა რომ სხვას დაუთმოს, ხომ დაიღუპა ინგლისის ეკონომიური უფლება მთელ დედა-მიწაზე.

აი ის კერძო სარგებლობა, რომელსაც წამ და უწუმ აღიარებს ინგლისი და რომელიც აწარმოებს მის პოლიტიკას. მართალია ოსმალეთის სლავიანები დიდ გაჭირებაში არიანო,—ამბობს ინგლისი,—მაგრამ ვაი თუ მათთა განთავისუფლებამ ჩემს ხალხსა საზრდოების წყარო წაართვასო. ამ რიგად, ძარღვი ინგლისის პოლიტიკისა მხოლოდ ეკონომიური საჭიროებაა. ჩაერევა ინგლისი ომში თუ არ ჩაერევა, ორსავე შემთხვევაში მხოლოდ ეს ერთი მიზეზი იქმნება. პრუდონს რომ ჰკითხოთ არამც თუ მარტო ინგლისს, არამედ ყველა სხვა ქვეყანასაც მხოლოდ ეს მიზეზი ამოქმედებს. აი რას ამბობს პრუდონი: „სარბს გაუმაძღრობას უჭირავს ხელში ყოველი საზოგადოება და ვიდრე ეკონომიური განწყობილება სამართლიანს უფლებაზედ არ დამყარდება, ომია აუცილებელია. დიახ, მე ვამბობ რომ ომი, რა გვარის და რა სახისაც უნდა იყოს, აუცილებელია: ომი ცარცვისათვის და სხვა ქვეყნის დაპყრობისათვის, ომია საზღვართა გაწევისათვის, ომია ახალის სავაჭრო გზების აღმოჩენისათვის, ომია დედა-აზრისათვის, ომია გვარტომობისათვის, ომია მემკვიდრეობისათვის, ომია გავლენისათვის და თანასწორობისათვის, ომია თავისუფლებისათვის, ომია ურთიერთშორისი, ომია სოციალური. ყველა ამ შემთხვევაში ომიანობის დედა-მიზეზი ერთი და იგივეა, რომლისათვის ხალხნი და მთავრობანი ყველაზედ ნაკლებ ზრუნავენ. ეს მიზეზი არის საცხოვრებელის უქონლობა: ღარიბისათვის—არსებითის საჭიროების უქონლობა, მდიდარისათვის—შემოსავლის უკმარისობა, სახელმწიფოსათვის—გასავალის გარდამეტება შემოსავალზედ". თუ ამ დედა-ძარღვს არ შეეხება ქსლანდელი ომიანობა, ინგლისი რასაკვირველია, ხელსაც არ გაინძრევს.

მართლა და ინგლისს რომ უბედურთათვის სტკივოდეს გული, დიდი ხანია ჯერ თავისებს უშველიდა. აი, მაგალითებრ, ირლანდია, რომლის უბედურება განთქმულია და რომელიც ინგლისმა სრულებით გააოხრა და გაცარცვა. ამასწინედ ირლანდიელებმა პარლამენტში თხოვნა შეიტანეს თვით მმართველობა მოგვეცითო და საკუთარი პარლამენტი გაგვიჩინეთო. პარლამენტმა უკუაგდო ეს თხოვნა. ინგლისი თავისიანებისათვის თუ ესეა, სლავიანებისათვის ხომ—საიდამ სადაო წმინდაო საბაო. ამის გამოისობით, მართალია თუ ტყუილი რომ ამჟამად გავრცელებულია ლაპარაკი მშვიდობიანობაზე ინგლისისა და რუსეთის შორის, მაინც ამაში შეუძლებელი არა არის რა. თუ ეს ლაპარაკი მართალია, ჰგავს ინგლისი არავითარ ვნებას არ მოელის თავის სარგებლობისათვის, და თუ ესეა ოსმალეთმა თუნდ თავში ქვა იკრას, ინგლისი ამისათვის თავს არ იტკენს.

ამბობენ, მშვიდობიანობაზე მოლაპარაკება გერმანიის თაოსნობით გამართულაო. ეს რაღა არის? გერმანიას რაღა ალაპარაკებს? აქ წინაპირველად ის უნდა შევნიშნოთ, რომ ვიდრე საფრანგეთში ცვლილება არ მოხდა, გერმანია თითქმის გაჩუმებული იყო აღმოსავლეთის საქმის შესახებ. მაგრამ რაკი მაკ-მაგონმა თავისი თავხედობა მოასხდინა, ბისმარკს მოსვენება წაერთო და მაშინვე გაეხქარა ბერლინისაკენ. აი ამის შემდეგ დაიწყეს ახირებული ლაპარაკი მშვიდობიანობაზე, მეტადრე როდესაც გავარდა ხმა ინგლისისა, ავსტრიისა და საფრანგეთის შორის ვითომ ზავი რამ იმართებაო. თუმცა აღმოსავლეთის საქმეში გერმანიასაც აქვს თავისი საჭიროება, როგორც ადრევე იყო მოხსენებული ჩვენ გაზეთში, მაგრამ აქამდისინ გაჩუმებული იყო, რადგანაც იცოდა, რომ ავსტრია თავისის ზურგით იფარავს მის ინტერესებს. ჯერ ავსტრიის ჩაყლაპვის დრო არ მოსულაო,—ფიქრობდა გერმანია, და ამიტომ მანამდისინ ოსმალეთის გაყოფაში მე და ავსტრია ერთსა და იმავე გზას უნდა ვად-

გეთო. ხოლო რა წამსაც მაკ-მაჰონმა მოასხინა სამინისტროს ცვლილება ბისმარკი, მაშინვე ფეხზედ წამოდგა იმიტომ რომ კარგად იცოდა, რომ მონარხიელთა დასის გამარჯვება საფრანგეთში უომრად ვერ გადარჩება და თუ საფრანგეთის ახალი მთავრობა ვისმეს ომს აუტეხს, უთუოდ გერმანიას აუტეხსო, რადგანაც აქ უფრო ადვილია მიზეზის პოვნა: გერმანიის ჯავრი უნდა ამოვიყაროთო და ელზასიელები უნდა გავანთავისუფლოთო, იტყვიან მონარხიელები. ეს ყველა კარგი. გერმანია, რასაკვირველია არ მოერიდება საფრანგეთის ომს, მაგრამ ვაი თუ საფრანგეთმა ავსტრია ჩაითრიოსო,—ავსტრია ხომ ყველას ადვილად აჰყვებაო და მერე რაღა უყო ამ წყეულ საქმეს აღმოსავლეთისასაო, ფიქრობს გერმანია. მაშ ჯერ აღმოსავლეთის საქმე უნდა როგორმე ჩავაქროთო, ავსტრიასაც პირი ჩაუმტკბარუნოთ, ინგლისსაც პირში კაი ნაჭერი ჩაუდოთ და მერე ხელებს დავიმკლავებ, გამოვიწვევ საფრანგეთს და ვეტყვით, აბა ეხლა გამობმანდი, ვნახოთ ვინ აჯობებსო:

ასე წავა საქმე თუ ისე, ვინ იცის. აქ ჩვენ მხოლოდ შესანიშნავი ვითარება საქმისა მოგვყავსო. ის კი არ უნდა დავივიწყოთ, რომ,—პრუდონისა არ იყოს,—პოლიტიკამ რაც უნდა გადმოატრიალ-გადაატრიალოს თავისის მანქანების ჩარხები მაინც თავი და ბოლო ზემოხსენებული ეკონომიური მიზეზია აღმოსავლეთის საქმის დედა-ძარღვი.

ავსტრი-ვენგრიაზე ლაპარაკი აქ საჭირო აღარ არის, რადგანაც მის პოლიტიკაზე საკმაოდ იყო ნათქვამი (იხ. „ივერიის“ მეცხრე და მეათე ნომერი).

რაც შეეხება თვითონ ოსმალეთს, მის ბედზედაც ბევრი არა ითქმის რა. მისი საპოლიტიკო უძლურება ცხადია და თუ მართლა სხვა სახელმწიფონი არ უშველიან, ოსმალეთი ევროპიის ზურგიდამ ისე აიგდება, როგორც შარშანდელი თოვლი. ვის ერგება ოსმალეთის სახელმწიფოს მემკვიდრეობა? ძნელი საფიქრებელია, რომ ოსმალეთის მემკვიდრედ თვითონ მისი ქვეშევრდომი ხალხი დარჩეს, ე. ი. ძნელი საფიქრებელია, რომ ეს ხალხი თვითონვე გახდეს თავის თავის პატრონად. ჯერ-ჯერობით ამ ქვეყნიერობის საქმე ძალაზედ არის მივარდნილი, და ოსმალეთის ქვეშევრდომთა ვინ მისცათ იმოდენა საპოლიტიკო ძალა, რომ გარშემო ძლიერ სახელმწიფოებს გაუძლონ? მართალია საბერძნეთი განთავისუფლდა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ საბერძნეთი უპირატესთა სახელმწიფოთა მფარველობით განთავისუფლდა და მათვე მფარველობის ქვეშ სუფევს. მფარველობა კიდევ, როგორც მოგეხსენებათ, ძნელი საქმეა, მას არავითარი სიმკვიდრე და სიმტკიცე არა აქვს: მფარველობა დღეს უცინის მის კალთის ქვეშ შეფარებულს, ხვალ ემუქრება.

ადვილი საფიქრებელია, რომ სხვა და სხვა სახელმწიფონი დაიყოფენ ოსმალეთის სამფლობელოს, როგორც პოლშა იყო დაყოფილი.

ინგლისი ამბობს, რომ როდესაც რუსეთისა და ოსმალეთის შორის ომი შესწყდებაო და მშვიდობიანობაზე ჩამოვარდება ლაპარაკიო, მაშინ ამ ლაპარაკში ყველა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობაო. პირველ-დახედვით ეს გასაოცარია: რუსეთი ღვრის სისხლს, ხარჯავს ფულს, ყოველს ვაი-ვაგლახს გულს უმაგრებს და როდესაც გაიმარჯვებს უცხო სახელმწიფონი, რომელთაც იქნება ხელიც არ გაუნძრევიათ, მოვლენ და მშვიდობიანობის პირობებს დაუწერენ. მაგრამ საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთის საქმე მთელი ევროპიის საქმეა და ოსმალეთის მემკვიდრედ ერთი რომელიმე სახელმწიფო ვერ გახდება. ეს ყველა სახელმწიფომ კარგად იცის.

---

## საქართველოს მატიანე

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი წერილი: „ერთი გურული ქალი არა უმეტეს 15 წლისა ან... ლ...ძისა იმერეთში თ. ნესტორ ერისთავთან მდგარა მოსამსახურედ. ამისი ალღო აუღია ტფილისში ერთს დედა-კაცს ნატ.... გ...ნა, რომელსაც ქალის უმანკოება და სილამაზე თავის ცხოვრების წყაროდ გაუხდია. ეს დედა-კაცი თვითონ წასულა იმერეთს, უცდენია ის გურული ქალი, პირობა მიუცია ოღონდ ქალაქში წამოდიო და ხუთს თუმანს ჯამაგირს მოგცემო, ოთხს ხელს ტანისამოსს შეგიკერავ წელიწადშიო, გიპატრონებ და გაგათხოვებო. გურული ქალი მოტყუებულა და წამოჰყოლია ქალაქს.

„ქალაქში ჩამოყვანის შემდეგ, ეს დაპირება გაქარწყლებულა. საწყალს გურულს ქალს უგრძნია, რომ მის თავზედ კარგი საქმე არ მოდის, მაგრამ რა ექნა. ზნეობის მდევნელს დედა-კაცს დაუკეტნია საწყალი ოთახში, რომელიც, სარდაფიც რომ ვიანგარიშოთ, მესამე სართულშია (ეტაჟშია) და ყარაული დაუყენებია. როცა ეს დედა-კაცი წავიდოდა თურმე სადმე იმ გურულის ქალის ოთახს გარედამ კლიტეს ადებდა. ამ ყოფით გაუტარებია საწყალს გურულს ქალს ერთი კვირა.

„6 ამ თვეს, საღამოს მეცხრე საათზედ ხელოსანს დედა-კაცს ორი თათარი მოუყვანია, დაუწყვია ვაჭრობა და ბოლოს დაჰპირებია საწყალის გურულის ქალის ნამუსის გაყიდვა. უპატრონოს, ილაჯ გაწყვეტილს ქალსა შეუტყვია ეს თუ არა, ნამუსით სიკვდილი უმჯობესია უნამუსო ცხოვრებას, გაუღია მესამე სართულიდამ ფანჯარა, და ურარაოდ, შიშველი გადმოვარდნილა ძირს. შეჰსწევნია ღმერთი რაღაცას მოსდებია და იმას დაუჭერია, თო-

რომ სულ დაიმსხვრეოდა საწყალი. მირს დაცემისვე უმალ გულ გადაფითრებული წამოვარდნილა და იქვე ავეტიქ ივანეს ძეს ტერ-აზრამოვის სახლში მივარდნილა და უხვეწნია: „მიშველეთ, მეიდიან!... ვინა ხართ ქრისტიანი, მეც მონათლული ვარ, ნუ დამკარგავთ, დამმალეთ სადმე თქვენის ცოლშვილის სადღეგრძელოთ."

ამ სიტყვების გაგონზე ავეტიქ ივანეს ძეს ტერ-აზრამოვს გული დასწყვია და შეწყალება მიუცია მით, რომ მაშინვე პოლიციაში გამოუცხადებია და თვით ქალიც იქ მიუყვანია. უნცროს პოლიცმეისტერს უფ. ალიხანოვს გულმტკივნეული მონაწილეობა მიუღია და ყოველი საჭირო ცნობა ამ საზარელის დანაშაულობისა შეუკრებია და ტფილისის უფროსის პოლიცმეისტერის მერკლინგისათვის წარუდგენია, რომელსაც სამსჯავრო მოხელეთათვის გარდაუცია."

ექ. ხელაძე.

— 3-ს მაისს კაი დიდი სეტყვა იყო ქალაქში. როგორც ეტყობა ჩრდილო-დასავლეთიდამ წამოვიდა და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიიმართა. მაგრამ ქალაქიდამ შორს არ წასულა. 4-ს მაისს ხელმეორედ მოვიდა სეტყვა ორჯელ და საშინელი სხვილი სეტყვაც იყო. თითქმის სახლი არ გადარჩა ქალაქში რომ ფანჯრის მინები არ დაემტვრია. ამბობენ ხუთი ათასის თუმნის მინა მაინც გატეხილი იქნება სეტყვისაგანაო და ვინ იცის მართალია თუ არა. მეორედ სეტყვა კოჯრის მხრიდამ წამოვიდა და საცა მოხვედრია ყანები და ჯეჯილები სულ მირს დაუცია. ქალაქის გარშემო სოფლები დაუსეტყვავს, დიღომისათვის უზარალებია, კლდანისათვის კარგა დაუკრავს და ავჭალისთვის ცოტა. თვით ქალაქის ბაღები, და კოჯრიდამ მოყოლებული ყარაბულახამდე და ხაშმამდე, რაც მოხვედრია გაუფუჭებია, ზოგან ამბობენ ყველაფერი გაანადგურაო.

— უფ. ალალო თათოევს დაუწერია კომედია სახელად: „ფული ვიტირო თუ ცოლიო", მეორე კომედიაც დაუწერია უფ. ვასილს აბაშიძეს სახელად „ცოლი თუ გინდა ეს არის". ეს ორივე კომედია, ამბობენ, ამ ახლო ხანში დაიბეჭდებაო

— თელავიდამ კახეთის შესახებ მშვიდობიანობის ამბავი მოვიდა. ამბობენ, ის ალიანქოთი, რომელიც კახელებს შესდგომიათ ცხვრისა ლეკთაგან მოტაცებისაგამო, ალიანქოთად არ ღირებულა.

— ჩვენ შევიტყეთ, რომ როცა ცხვარი მოუტაცნიათ, თ. რუსიშვილს შილდაში შეუყრია სამოცი კაცი, მდევრათ გამოჰსდგომია ცხვრის წამყვანთ დიდოელებს, და შილდის ცხვარი უკანვე დაუბრუნებიათ.

ამის თაობაზედ ქისტაურიდამ აი რასა გვწერენ: „მაისის გასულს უცებ ხმა დავარდა თელავში და სოფლებში, რომ ლეკის ჯარმა ცხვრის ფარები დაიტაცაო, მეცხვარრებიც დახოცაო და ესლა ყადორზედ დგასო. უცებ შეიქმნა ალიანქოთი და მზადება გასახიზნავად. თელაველებმა დუქნები დაკეტეს, ხალხი გაღმა მხრიდან გამოღმა გამოვიდა და თვითონ თელაველნი კი ახმეტას და ქისტაურს გაიხიზნენ. ბევრი ტყეში გაიხიზნა. ბოლოს გამოვიდა რომ ერთი რაღაც დიდოს სოფელი არეულა და ცხვარი მოუტაცნია. რაზედ დაფთხა ხალხი? იმაზედ დაფთხა, რომ ხანჯალი აღარავისა აქვს და თოფი, რადგანაც აღკძალული იყო იარაღის ტარება".

— ქალაქის ჯიბის ოსტატები დიდს გამბედაობას იჩენენ. ამბობენ, სულის წმინდაობის დღეს ფრანგების ეკკლესიაში ერთს ქალს ჯიბიდამ ოცდა ოთხი მანეთი ამოაცალესო.

## ომის ამბები.

26 მაისიდამ მოყოლებული რუსის ჯარს რამდენჯერმე დაუთვალიერებია ყარსი. ოცდა რვას თვით მის იმპერატორების უმაღლესობას დაუთვალიერებია ყარსის სიმაგრენი. ამ დღეების განმავლობაში ჩვენის მხრით მხოლოდ ხუთი კაცია დაჭრილი და არც ერთი არ არის მკვდარი.

28 მაისს ღენერალ ტერგუკასოვს ქალაქი ალაშკერტი დაუჭერია, და მის მოწინავე ჯარს—ზეიდიკანი. ოსმალეთის ჯარი ზივინის ახლოს გროვდება, საღანლუღის მთის იქით.

— 3 თიბათვეს, ათი ბატალიონი ორი ბატარეით ყარსიდამ გამოსულა და ღენერალ გეიმანის ჯარს დასხვედრია. შეტაკების შემდეგ ისევ ყარსში გაქცეულან. ოსმალების მხრით ორასამდე მოკლულა. ჩვენის მხრით ცოტად დაუჭრიათ პრაპორშჩიკი აეტოვსკი. გარდა ამისა თერთმეტი სალდათი მოუკლავთ და ას ექვსი დაუჭრიათ.

— სამებას, დაბურულ ტყეში რუსების ბათალიონს ოსმალოს ჯარი დასცემია, მაგრამ რუსებს უკანვე გაუგდიათ ოსმალები, რომელთაც ათი კაცი მოუკლეს და თორმეტი თოფი წაართვეს. ჩვენის მხრით მოკლეს: შტაბს-კაპიტანი პრჟევალსკი და ექვსი სალდათი; დასჭრეს: პარუჩიკი ლემენი-მაკედონი და თერთმეტი სალდათი.

ამავე დღეს საღამოს შვიდ საათზე ოსმალები იმავე ადგილს მიუახლოვდნენ, სამჯერ დახალეს თოფები და უკან გაბრუნდნენ. ღამის ორ საათზე ოსმალები კიდევ მივიდნენ

და მთელი ერთი საათი თოფის სროლა ატეხეს. ჩვენის მხრით ერთი მოკლულია და ორი დაჭრილი.

— ოსმალეთის ხომალდებს ადლერთან ერთი ატრიადი გადმოუსხამთ, რომლის უმთავრესი ნაწილი ახშტირში დგას. ამ ატრიადს სოჩიდამ გამოგზავნილ რუსის ჯართან ბრძოლა მოსვლია. ოსმალების მხრით რვა კაცი მოკლულა და ბევრი დაჭრილა, ჩვენის მხრით მილიციის პრაპორშჩიკი პშიზოვი დაუჭრიათ და ხუთი ცხენი მოუკლავთ. მდ. მზიმთაზე ოსმალოს ჯარი ათასამდეა.

1 თიბათვეს დუნაიის იქით (ე. ი. ოსმალეთის) ნაპირას რუსებს ბატარეის აშენება დაუსრულებიათ და ზარბაზნები დაუდგამთ. ამ რიგად რუსებს ოსმალეთის ნაპირზედ გადუდგამთ კიდეც ფეხი.

— 4 თიბათვეს დუნაის მხედრობის მთავარ სარდალს პეტერბურღს ტელეგრამმა გაუგზავნია, რომელშიაც შემდეგია მოხსენებული: „ოსმალნი ნიკოპოლთან და ოლტენიცთან სიმაგრეებს აშენებენ. ჩვენსა და იმათ ჯარს სროლა აქვთ. ოლტენიცაში ერთი ჩვენგანი დაიჭრა, დუნაიის მდინარე, თუთმცა მძიმე-მძიმედ, მაგრამ ყოველდღე კლებულობს.“

— 3 თიბათვეს ოსმალებს უომრად მიუტანიათ სურსათი ნიკშიჩში. იმავე დღეს 15,000 ოსმალოს და ჩერნოგორიელების შორის ომი გამართულა. ჩერნოგორიელებს ოსმალები დაუმარცხებიათ. მეორე დღეს ოსმალები ოთხჯერ დასცემიან ჩერნოგორიელებს, მაგრამ ვერა გაუწყვიათ რა და უკანვე გაფანტულან. ოსმალეთის მხრით ორი ათასი კაცი დახოცილა და ჩერნოგორიელთა შორის კი სულ 115 კაცია მოკლული და დაჭრილი.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

**საფრანგეთი.**—ვერ წარმოიდგენთ რა საშინლად უდიერად ეკიდება ახალი მთავრობა ჟურნალ-გაზეთებს. დღე არ გავა ისე რომ ან ერთი და ან მეორე გაზეთი, რომელიც კი ცოტა ოდენად მთავრობის აზრისა არ არის, სასამართლოის წინაშე არ იყოს წამდგარი, ვითარცა ბრალდებული დასასჯელად. გარდა ამისა შინაგან საქმეთა მინისტრმა ფურტუმ ყველა პრეფექტებს ცირკულიარი გაუგზავნა, რომლის ძალითაც სასტიკი თვალყური უნდა ადევნონ ცალკე ნომრობით გაზეთების გამყიდველებს. უნდა მოგახსენოთ, რომ 1875 წ. კანონი დაიდვა, რომლის ძალით გაზეთის ცალკე ნომრებით გაყიდვის აღკრძალვა შეუძლებელია თუ არ სამსაჯულოს განჩინებით. ფურტუმ მოძებნა მეორე კანონი, რომელიც 1849 წლიდამ არის დარჩენილი და რომლის ძალითაც გაზეთის ცალკე ნომრებით გამყიდველს მთავრობისაგან ცალკე ნება-რთვა უნდა ჰქონდეს მიცემული ამა გაჭრობისათვის. ფურტუს უფიქრია—თუ უფლება არა მაქვს რედაქციას აუკრძალო ცალკე ნომრების გაყიდვა, ეს ნება-რთვა ხომ ჩემ ხელთა არისო, და უბძანებია პრეფექტებისათვის, რომ მარტო იმისთანას გაზეთის გასყიდვის ნება მიეცითო, რომელნიც მთავრობის მომხრენი არიანო და რესპუბლიკის მტერნიო.

როდესაც რესპუბლიკის მომხრე გაზეთები ამ უბედურებაში არიან ჩავარდნილნი, მონარხიელთა დასის გაზეთები კი დიდ ნეტარებაში არიან და სრულიად თავისუფლად აცხადებენ რესპუბლიკის მტრობას. ერთი გაზეთი, მაგალითებრ, ამბობს, რომ რაც უნდა მოხდეს მაკ-მაგონი უფლებას ხელიდგან არ გაუშვებსო. რა აზრისაც უნდა იყოს პარლამენტი, კმაყოფილებას გამოუცხადებს მაკ-მაგონს თუ უკმაყოფილებას, მარშალი მაინც პრეზიდენტობას არ დაჰსთმობსო. ეს ხომ ცხადი წინააღმდეგობაა აწმყო მმართველობისა, და ამაზედ მეტად კანონის დარღვევა შეიძლებაო? მაგრამ ეხლანდელი მთავრობა რას დ სდევს! ტყუილად კი არ დაირქვა სახელად „ბრძოლის მთავრობაო„. მართლა, როგორც ისმის, მაკ-მაგონი ცხადს ბრძოლას უპირებს საფრანგეთს. ბონაპარტიელები დიდ ფაცა-ფუცში არიან და აქა იქა მომხრეებს ეძებენ. ამბობენ რომ, ნაპალეონის III შვილისათვის მიუწერიათ—მოდიო და საფრანგეთის საქმეში პირადი მონაწილეობა მიიღეო. გარდა ამისა, ბონაპარტიელები ცდილობენ პაპის წინაშე, აგები როგორმე უწმინდესმა მამამ გრაფი შამბორი დაიყოლიოს და ტახტზედ უარი ათქმევინოს. შამბორი, როგორც მოგეხსენებათ, ძალიან გულ ნაწყენია, რადგანაც უფლება ბონაპარტიელებმა ჩაიგდეს ხელში და არა ლეგიტიმისტებმა.

ნემეცური გაზეთები დარწმუნებულნი არიან, რომ საფრანგეთის მთავრობა ძალ-მომრეობით ცვლილებას მოახდენსო და ნაპოლეონ IV-ს გაამეფებსო. საფრანგეთის რესპუბლიკელები კი ძალიან გულ-მშვიდად არიან და ამტკიცებენ, რომ მონარხიელები მეტად უძლურნი არიან, და მაგას ვერ მოახერხებენო. ვისი იმედი აქვს მთავრობას? თუ ნაპოლეონ მესამის მაგალითს აჰყვა გლეხობისა და ჯარის იმედი უნდა ჰქონდეს. ჯარი დაუჯერებს რასმეს მაკ-მაგონსა თუ არა ამისი ღმერთმა იცის. გლეხობის შესახებ კი ერთის ნემეცურის გაზეთის კორრესპონდენტი ამბობს, რომ ბევრგან სოფლის ხალხი უფრო აღელვებულია ვიდრე ქალაქის მუშებიო. გლეხები ამბობენო—„პატერების სამინისტროს“ გაგონებაც არ გვინდაო“ და დარწმუნებულნი არიანო, რომ ეს სამინისტრო უთუოდ ეპისკოპოსების მანქანების საქმეაო. თუ მართლა ძალა დაატანა მაკ-მაგონმა და ჯარი იხმარა რესპუბლი-

კის დასამხობლად, რაღა თქმა უნდა რომ საფრანგეთში რევოლიუცია ასტყდება.

— 4 (16) თიბათვეს, როგორც მოგეხსენებათ, ხელმეორედ უნდა შეეყრილიყვნენ ორივე პალატი, რომელნიც მაკ-მაგონმა 4 მაისს ერთის თვის ვადით დაითხოვა. აი ამის შესახებ პარიჟიდამ რა ამბავი მოვიდა: „დღეს, ე. ი. 4 თიბათვეს, ორივე პალატი შეიყარნენ ვერსალში. სენატში წაკითხულ იქმნა რესპუბლიკის პრეზიდენტის ეპისტოლე, რომლითაც იგი სთხოვს სენატს დეპუტატთა პალატის დაშლის ნებას. სენატი გასინჯავს ამ წინადადებას ორშაბათს (ე. ი. 6 თიბათვეს). აქ ამ აზრისანი არიან, რომ სენატი მაკ-მაგონის თხოვნაზედ თანხმა გახდებაო. დეპუტატთა პალატში რესპუბლიკელებმა მთავრობას პასუხი მოსთხოვეს თუ რა მიზეზით მოახდინა მაკ-მაგონმა ცვლილებაო. ამ საგნის შესახებ ცხარე ბაასი ჯერაც არ გათავებულა. ეჭვი არ არის რომ დეპუტატთა პალატი თავის სრულ სამდურავს და საყვედურს გამოუცხადებს სამინისტროს.“ ვნახოთ ორშაბათის ტელეგრამმა რას მოიტანს.

—

**იტალია.**—საფრანგეთის კლერიკალების მოძრაობამ, რომელიც იტალიასაც ეწინააღმდეგება, დიდად აალელვა ეს ქვეყანა და კლერიკალების წინააღმდეგი მოძრაობა დაბადა. კოროლს, რასაკვირველია, ესიამოვნა ეს მოძრაობა და თავისი სიამოვნება გამოუცხადა კიდეც ხალხს 23 მაისს, როდესაც იტალია დღესასწაულობდა თავის კონსტიტუციის ოცდაათ წლოვანობასა.

ამ დღეს სენატმა ადრესი წარუდგინა კოროლს ვიქტორ ემმანუელს, რომელმაც უპასუხა შემდეგი: „მადლობას მოგახსენებთ თქვენის წრფელის გულით აღიარებულის გრძნობისათვის. დღეს ჩვენ სიამოვნებით ვიგონებთ განვლილ ოცდა ათ წელს, რომლის განმავლობაში დამკვიდრდა ჩვენის სამშობლოს ერთობა„.

შემდეგ მიუბრუნდა დეპუტატებს და შემდეგი უთხრა: „ოცდაათის წლის თავდადებითმა მსხვერპლმა და შეურყეველმა სასოებამ იტალიის დიდებისადმი აღმოშობა ჩვენის ძვირფასის სამშობლოის ერთობა და რომი იტალიის სატახტო ქალაქად გახდა. წარსული მიდგა მე მომავალის თავდებად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენის ქვეყნის წარმომადგენელნი და თვით ერი ჩემთან არის“. თუ დარწმუნებულია მაშ რაღათ ლაპარაკობენ ვითომ შესაძლებელიაო, რომ სამინისტრო გამოიცვალოსო და ამისთვის კოროლი თურმე უფრო ზომის-მოყვარე კაცებთან საქმეს იჭერსო, რომ სამინისტრო ამათ ჩააბაროსო, ნუ თუ ვიქტორ-ემმანუელს პაპისა ეშინიან?

ერთს ამბავს მოგახსენებთ. რომში ერთი სტუდენტი გარდაიცვალა, მისმა ამხანაგებმა გაატარეს საფლავამდე გატარების დროს ხელში სამ ფერიანი ბაირაღი *) ეჭირათ. საყდართან რომ მივიდნენ და მღვდელმა დაინახა ეს ბაირაღი, ეკლესიაში არ შეუშვა. ამ შემთხვევის შესახებ დეპუტატთა პალატში ერთმა რესპუბლიკელმა შინაგან საქმეთა მინისტრს პასუხი მოსთხოვა „რატომ მთავრობამ ყურადღება არ მიაქციაო ამ მღვდელსაო და არ დასაჯაო. მინისტრმა თავის გასამართლებლად მიუგო, რომ რადგანაც სენატმა უარ-ჰყოო ამ გვარის დანაშაულის დასასჯელი კანონიო ამის გამოისობით მთავრობას ამ შემთხვევაში არა შეუძლიან რაო.

რაც უნდა იყოს იმ მღვდლის მოქმედება ცხადი უპატიურობაა აწმყო მმართველობისათვის.

— პაპს მაკ-მაგონისათვის პიოს ჯვარი უჩუქებია.

—

**ინგლისი.**—მას შემდეგ რაკი გლადსტონმა ჰსთქვა რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენკენ არისო,*) განაგრძო:

„დიდად ღირს შესანიშნავია და ჩემის ფიქრით უდიდესი სახელი და პატივია ჩვენის ხალხისათვის, რომ მან თავი გამოიდო არა თავისის ჯიბისათვის, თავისის ცოლ-შვილისათვის, თავისის საკუთარის ჩვეულებათათვის, არამედ იმ საქმისათვის, რომელიც შეეხება პატიოსნებას, მშვიდობით მყოფელობას, ყოფა-ცხოვრებას რამდენიმე მილიონის კაცისას, რომელნიც ცხოვრებენ ჩვენზედ ძალიან შორს, ლაპარაკობენ სულ სხვა ენაზედ, აღიარებენ ზოგიერთში ჩვენს რჯულთან განსხვავებულს რჯულსა და რომელნიც ძლივ-ძლივ ცნობილნი არიან ახალ ისტორიაში (მოწონების ხმა.). თუმცა ასეა, მაგრამ იმათმა ბედმა ისე მიიზიდა ინგლისელთა გული თითქო ისინი ჩვენი ძმები იყვნენ, ჩვენს მეზობლად ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებნიო. ჩემდა საოცრად მე შევიტყე, რომ მათმა წვალებამ და წამებამ შესძრა გულნი ყოველგან დედამიწის ზურგზედ იმ ადგილებშიაც კი, რომელნიც ყველაზედ უშორესნი და განაპირებულნი არიან.“

გლადსტონი ურჩევს მსმენელთა, რომ ეხლანდელი პარლამენტი უნდა დაიშალოსო, რადგანაც ახალს არჩევანში ხალხი ჩვენს მომხრეებს ამოირჩევსო. ამის შემდეგ გლადსტონი ჰკიცხავს მათ, ვინც ამ საქმეში წამ და უწუმ ინგლისის სარგებლობაზედ მიათითებს ხოლმე, როცა უნდა მთავრობის პოლიტიკა როგორმე გაამართლოს ხალხის წინაშე.

„არაო, განაგრძობს გლადსტონი: საჭიროა აღიმართოს კაცურის მოვალეობის დროშა, საჭიროა წინა-

*) სამ ფერიანი ბაირაღი თავისუფლობის ნიშანია.

(*) იხილეთ № 14 „ივერიისა“.

ადუღდეს ადამიანის თან-შობილს და ჩვეულებრივს თვითმოყვარეობასა, საჭიროა ჩაეგონოს ყველას რომ არიან უმაღლესნი და სამართლისა კანონები, რომლის აღსრულებაც ყოველის კაცის მოვალეობაა."

მერე გლადსტონს სიტყვა გადააქვს ისევ მთავრობაზედ და პარლამენტზედ და ამბობს, რომ ერთიც და მეორეც ისე იქცევიანო, რომ უსათუოდ ომში გაერევენო ტანჯულთა და წვალებულთა საოხად კი არაო, არამედ ოსმალეთის საშველადაო. შემდეგ ოსმალეთზედ გადადის და ამბობს, რომ თუმცა ბევრნი ოსმალეთის საქმის გასწორების იმედს ქადაგობსო, მაგრამ ოსმალოს საქმე წასულიაო. ჩვენი მთავრობა ხელს უშლიდა ევროპის ერთობასაო, მისმა პოლიტიკამ ბოლო მოუღოო ევროპიის თანხმობას და ამიტომაც ჩვენი მთავრობაა ქვეყნის წინაშე პასუხის-მგებელი მასში, რომ ეხლა ამოდენა სისხლი იღვრებაო. ბოლოს გლადსტონი ამით ათავებს თავის საუბარსა:

„თუმცა ყოველივერი, რაც გვინდოდა, ის არ აგვისდ მაგრამ ცოტაოდენი რამ კი ვიმოქმედეთ და შევიძინეთ ჩვენ ხალხი ავაღელვეთ და ავალაპარაკეთ ამ საგანზედ თუმცა ეს უწესოა, არა ჩვეულებრივია, მაგრამ საჭიროა მით უფრო რომ ჩვენს მოქმედებას ნათელი ადგა სიწმინდისა და გონიერებისა. ჩვენ ავაღელვეთ ხალხი და ამით შევაყენეთ მთავრობის ბოროტ-მომქმედი მიდრეკილება და ძალაუნებურად ცოტათი მაინც სიკეთისაკენ მივმართეთ. სხვა არა იყოს რა, ის მაინც ვქმენით რომ ეხლა მთელი ქვეყანა ეჭვშია მასზედ თუ—ის ინგლისი, რომელიც ერთის წლის წინად ევროპას ელაპარაკებოდა მართალი და ნამდვილი ინგლისი იყო თუ არა. იქნება ეხლაც ისეა, რომ ჩვენი მთავრობა, რომელიც ჩვენის სახელით ლაპარაკობს, დღესაც ცბიერობს, სულმოკლეობს, ორპირობს; რომ იქნება აღთქმას რასმეს სდებს იქ, საიდამაც არა რაიმე სიკეთე არ გამოვა და გაჭირების დროს კი ისევ უკუაგდებს და უარ-ჰყოფს მას, რაც მანამდე უქმნია. ხოლო ჩვენ კი იმოდენა შეძლება გვაქვს ყველას ყურამდე მივასწევინოთ, რომ თუმცა მთავრობას კონსტიტუციის ძალით ხელთ უპყრია უფლება, მაგრამ იგი კანონიერი და ნამდვილი წარმომადგენელი არ არის ყოველის ჩვენის აზრისა და სურვილისა, (მოწონების ხმა). ჩვენ ვაჩვენებთ ქვეყანას, რომ დიდებული გული ინგლისისა ისევ ისე ჰსძგერს როგორც ყოველთვის ჰსძგერდა უწინაც; რომ ყოველი მისი გულითადი სასოება, ყოველივე მისი მედგარი წადილი იქით არის მიზიდული, საითკენაც თავისუფლებაა, სიმართლე და მშვიდობის-მყოფელობა."
(ხმა მაღლა მოწონების ხმა და ხანგრძლივი ტაშისცემა.)

—

**წვრილი ამბები.** ამას წინად იაკობ ბრაიტს ლონდონის პარლამენტში წინადადება შეუტანია, რომ არჩევანის უფლება ქალებსაც მიენიჭოსო. ამ საგანზედ ძალიან საინტერესო ბაასი გამართულა, რომელსაც შემდეგ ნომერში გაცნობებთ მკითხველს.

ამ წინადადების წინააღმდეგ მხოლოდ ისა თქმულა, რომ ჯერ დრო არ არისო ქალებისათვის არჩევანის უფლების მინიჭებისაო. მაშ სხვაფრივ თანახმა ყოფილან ქ. ი, თვითონ დედა-აზრი ამ წინადადებისა მიუღიათ.

— ოსმალეთის მთავრობას, რასაკვირველია, არ მოსწონებია რომ რუმინიამ თვისი უმოკიდებულობა გამოაცხადა. ამის გამო ოსმალეთმა სამდურავი წარადგინა ყველა სახელმწიფოთა წინაშე. ამ სამდურავში ოსმალეთის მთავრობა ამბობს, რომ რუმინიამ რაც უნდა ქნასო და თქვასო, ხონთქრის მთავრობა მაინც არ დაათმობს თავის უფლებას და ისე მოექცევა რუმინიას როგორც ოსმალეთის სარგებლობას შეეფერებაო. ჩვენ წინა აღუდგებით რუმინიის მოქმედებასაო, რომელიც ევროპიის ტრაკტატების დარღვევაა და ეს მოქმედება როგორც ოსმალეთის შეურაცხ-ყოფაა, აგრეთვე იმ სახელმწიფოთაცა, რომელთაც პარიჟის ტრაკტატზედ ხელი უწერიათო.

— კრიტის (კანდიის) კუნძულის წარმომადგენელთა შემდეგი თხოვნა წარუდგენიათ ოსმალეთის მთავრობის წინაშე: 1) კრიტის კუნძული, როგორც თვით უფლების მქონე ქვეყანა, არ ექვემდებარება ოსმალეთის კონსტიტუციას; 2) კუნძულის არსებითი კანონები ხონთქრის ცალკე ბრძანებით უნდა იყვნენ დამტკიცებულნი; 3) ეს ხონთქრის ბრძანება შემოწმებული უნდა იყოს სტამბოლის პარლამენტის მიერ და 4) კუნძულის კანონების ცვლილებანი მომავალში თვითონ კრიტელების ნებაზედ უნდა იქმნას მიგდებული.

ოსმალეთის მთავრობას ყველა ეს თხოვნა უარ-უყვია და უბრძანებია რომ კრიტელებმა ხუთი ქრისტიანი და ხუთი მაჰმადიანი მოციქული გამოგზავნონო სტამბოლში მოსალაპარაკებლად.

— იმ წერილით, რომელიც რუსეთმა ინგლისს გაუგზავნა გრაფ შუვალოვის ხელით, რუსეთს სურვებია დაარწმუნოს ინგლისი, რომ რუსეთი არ შეეხება მის სარგებლობას ინდოეთში; რომ იგი არავითარ დაბრკოლებას არ მისცემს ხომალდების თავისუფლად ტარებას სუეცის არხზედ; რომ რაც შეეხება ბოსფორსა და დარდანელსა, ეს საგანი მთელის ევროპიის საქმეა და რუსეთს არა აქვს განზრახვა ეს საქმე მარტო თვითონ გადაწყვიტოსო. ამ წიგნის შესახებ ბერლინის ოფიციალური გაზეთი ამბობს, რომ ამას იქით შეიძლება დარწმუნებული

ვიყოთო, რომ ომი მხოლოდ რუსეთისა და ოსმალეთის შორის გათავდებაო და სხვას არ გადაედებაო.

— ეგვიპტის ჯარი მშვიდობით მისულა სტამბოლში, და აქედამ საომარს ველზედ ისტუმრებენ.

— **ხონთქარი ადრიანოპოლში აპირობს წასვლასაო სიმაგრეების გასაშინჯავად.**

— ერთის ნემეცის გაზეთის კორესპონდენტი რუმინიის მთავართან ყოფილა და ლაპარაკი ჰქონია. მთავარს უთქვამს თურმე: „ჩვენ იმაზედ უკეთესს რასმე მოვინდომებთ, რომ ევროპამ რუმინია თავისუფალ სახელმწიფოდ სცნოს. მაშინ დუნაიის მდინარე სრულებით თავისუფალი გახდება, სამხედრო ხომალდებს აღარ შეელებათ მასზედ სიარული და დუნაიის ციხე-სიმაგრენი აღარ იქნებიან. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ექმნება გერმანიისა და ავსტრიისათვის. ავსტრია რომ მტკიცედ დაადგეს ამ ჩვენს მოთხოვნილებას, სხვა სახელმწიფონი უსათუოდ აუსრულებდნენ მის სურვილს.“ რუსეთისა და ავსტრიის შესახებ მთავარს შემდეგი უთქვამს: „ავსტრია დიდის სიამოვნებით გვიმართავდა ხელს. სწორედ რომ სთქვას კაცმა, ავსტრიას ძალიან მოუხდება რუმინის უმოკიდებულება. რუმინია ერთის მხრით გზად მდებარეობს დუნაიაზე ავსტრიისა და რუსეთის შორის. მეორეს მხრით არის სიმაგრე, რომელიც აბრკოლებს ჩრდილოდ მყოფს მეზობელსა (ე. ი. რუსეთს) და სლავიანებს. ჩვენ, რასაკვირველია, რუსეთის მადლობელნი ვართ, რადგანაც შემწეობა მოგვცა სლავიანების განთავისუფლებისათვის, მაგრამ ჩვენ გვინდა ამ მხრითაც თავისუფალნი ვიყვნეთ. თუმცა ჩვენ რუსებს როგორც მეგობრებს დაუხვდით, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ იმათგანაც დავიცვათ ჩვენი უმოკიდებულება და ამასაც ვიტყვით, რომ ჩვენი მოხელენი ისე მოიქცნენ, როგორც მათი უფლების ღირსება მოითხოვდა.“

— ერთი გაზეთი ამბობს, რომ როგორც ეტყობა რუსეთისა და ავსტრიის მეცადინეობამ თავისი გაიტანაო და სერბია ომის ატეხას აღარ აპირებსო. მთავარი მილანი დაჰპირებია თურმე ავსტრიას ომში არ გავერევიო, მხოლოდ ომის გათავების შემდეგ კი რუსეთმა და ავსტრიამ ჩვენი სარგებლობაც უნდა იქონიონ მხედველობაშიო.

— საფრანგეთის სენატს ჯერ არავითარი გარდაწყვეტილება არ მიუღია ორშაბათის სხდომაში პალატის დაშლის შესახებ. ამ საქმის გადაწყვეტა ოთხშაბათისათვის გადუდვიათ. ძალიან ცხარე ბაასი გამართულა თურმე, სამინისტრო გაუკიცხავთ, რომ კლერიკალობას აჰყოლიაო.

---

## ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.*)

(შემდეგი).

II კაპადოკია შავის ზღვის პირისა განიყოფებოდა ორ თემად; პირველი თემი შეადგენდა პონტოს სამეფოს, მეორე კოლხიდას.

ა. პონტოს სამეფო იყო ადგილი წყლიანი, ტყიანი, მდიდარი ნაყოფებითა და მადნებითა. დასავლეთის ს მზღვრის პირზედ მოუდიოდა მდინარე ჰალიზისა ან ალაზონისა (აწ კიზილ ერმაკი), ძალიან ვრცელი და დიდი, რომელსაც სათავე ჰქონდა მახლობელ ნიკოპოლის ქალაქისა, გემის მთებში, ჰრწყვდა სრულიად კაბადოკიასა და ერთვოდა შავს ზღვაში მახლობელ ბაფირის ქალაქისა. მდინარე ესე ღირსია შესანიშნავად, მისთვის რომ ძველს დროში განჰყოფდა მცირის აზიის მკვიდრთა მოსახლეთა ორად: მარცხენა ნაპირი ეჭირა ხალხთა, რომელნიც ნათესაობით ეკუთნოდნენ ბერძენთა, გარნა მარჯვენა ერთა, რომელნიც ნათესაობით იყვნენ აზიის ხალხნი ე. ი. ჭანელები (1). სხვანი მდინარენი ზღვის კაპადოკიისა არიან: ირისე ან ირიზე (აწ ეშილერმაკი), რომლისაც ერთსა ტოტსა სახელად ჰქვიან ტეძამი და მეორესა ლიკუს (მგელი); გემრიელი წყალი (ქარტაზედ გარყვნილად ჰწერია გერმიელი ჩაი); თერმადონი (აწ თერმეს წყალი); ფსიხრონი (აწ კოლოპოტამო), რომელიც ერთვის ზღვასა მახლობელ რიზა ქალაქისა. სამხრეთი მხარე პონტოსი იყო მთებიანი და ხევებიანი: ბალხარის მთები, რომელნიც მდებარეობენ პონტოსა და საქართველოს სამზღვარზედ, აწ გურჯი ბოღაზი ან საქართველოს ველი; ამ მთებს შეუდგებიან მთები ნაჭილობევისა, ან, ძველთა მწერალთა, სციდის მთები; ერთი ნაწილი ნაჭილობევის მთებისა იწოდებიან გყაურად და გომიშად (გამბეჩოვანად); გომიშის მთები მდიდარია ვერცხლის მადნებითა. ზღის პირზედ მდებარეობდნენ მრავალნი ქალაქნი მდიდარნი ვაჭრობითა და სიმდიდრითა: ამიზუსი (აწ სამსუნი); თემისცირა (აწ თერმე); უნია (აწ ონის ქალაქი); კოტიორა (აწ ორდუ); ფარნაკი (აწ კერასუნი); ტრაპეზონი, ლიზა (აწ სურმენა); ოფიზი, რიზე, ატენი; ხმელზედ: ამასია, მდებარე ირისეს მდინარეზედ, სამშობლო ადგილი სტრაბონისა; გაზიურა, ძველი დედა-ქალაქი ზღვის კაპადოკიისა, მდებარეობდა თერმადონის მდინარის ნაპირზედ; ელმანა, ზელა, სატალა (სათალი) და სხვანი.

*) „ივერია“ № 14.

(1) ვივიენ სენმარტენი. მცირე აზია II ტომი, 386 გვ.

მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ პონტოს სამეფოს ზღვის ნაპირებზედ, მილეტის ქალაქის მოსახლეთა და დააფუძნეს სავაჭრო ქალაქები, რომელთაგანაც უპირველესი იყო სინოპი, ამიზუსი, კოტიორა, ტრაპეზუნტი და ჰქონდათ აქ აღებ მიცემა და სარგოიანი ვაჭრობა მეზობელთა ხალხთათანა. ხსენებულთ ქალაქებსა ჰქონდათ თავიანთი მმართებლობა და არ ემონებოდენ სპარსთა მეფეთა; მაშინ როდესაც პონტოსა და კოლხიდის მოსახლენი იყვნენ დამონებული სპარსთაგან, შეადგენდნენ ორს სასპასპეტოს (სატრაპიას) XVIII და XIX (1) და სპარსთა მეფისა ქსერქსის დროს მიიღებდნენ მონაწილეობას ბრძოლაში პირის პირ ბერძენთა და განიყოფებოდნენ ოთხ გუნდად: პირველსა გუნდსა, მთავრობასა ქვეშ არიობარზანისა დარიოს მეფის ძისა, შეადგენდნენ ერნი მესხნი და ტიბარენნი; მეორესა, მთავრობასა ქვეშ არტაგისა, მოსუნაკნი; მესამესა მთავრობასა ქვეშ ფარანდატისა, მარნი და კოლხელნი და მეოთხესა, მთავრობასა ქვეშ მისისტისა,—ალაროდიანელნი და ისპირელნი. (2) ამითი ჰჩანს რომ პონტოს სამეფოში და კოლხიდაში იყვნენ რამთონნიმე მთავარნი და ქსენოფონტის დროს რომელიმე მათთაგანი იწოდებოდნენ მეფედა ვითარცა მთავარი მოსინაკთა. ვალიანი თავის პონტოს ისტორიში მოუთხრობს, რომელ პირველი მეფე პონტოსა იყო არტაბაზი, დადგინებული დარიოს სპარსთა მეფისაგან ამისი მემკვიდრე 402წლის ქრისტეს წინათ იხილება მიტრიდატ I, რომელიც განაგებდა სამეფოსა დროსა სპარსთა მეფის არტაქსერქსისა, ამისი შვილი მიტრიდატი II სახელ წოდებულ აღმაშენებლად იყო თანა მედროვე ალექსანდრე მაკედონიელისა; მიტრიდატ II-ის შვილმა მიტრიდატმა III გაიმარჯვა ლისიმახაზედ, რომელიც იყო მაკედონიის მეფე 384წელსა და დასდო გამარჯვების წელიწადი დასაბამად წელთა აღრიცხვისა ანუ ერად (3), რომელიც იყო მიღებული როგორც ბოსფორის სამეფოში ისე კოლხიდაში და საქართველოში.

ღირსია შესანიშნავად რომ აქედამ იწყებიან ჩვენი ქრონიკონებიცა, რადგანაც იმ დროს მთელი კოლხიდა დამონებული იყო პონტოს მეფეთგან და ჰქონდათ ერთმანერთში დიდი ერთობა. აქამომდე სწავლულთა და სიძველის გამომეძიებელთა არ იცოდნენ სწორეთ, რომლის წლიდამ იწყებოდა ერა ან დასაბამი წელთა აღრიცხვისა პონტოს სამეფოში. ზოგი ჰცდება 8, ზოგი, 10 ზოგი 12 წლითა. მე რომ შევადარე ჩვენი ქრონიკონი და აღვრიცხე მაშინ აღმოჩნდა,რომ დასაბამი ჩვენისა და პონტოს ერასი არის 284 წელი ქრისტეს წინათ. ვინ არ იცის რომ ჩვენს ქრონიკონსა როგორც რომ ეკლესიისკინკლოსსა აქვს საქცევი 532 წელიწადი. ეს რიცხვი შესდგება განმრავლებისაგან 28x19; რიცხვი 28 შეადგენს წელთა მზის მოქცევისათა და 19—მთოვარისათა 532 წელი რომ დასრულდება, შვიდეულის დღენი, მთოვარის განახლება, დიდ მარხვის აღების დღე, პასექის დღე და შემდგომნი ცვლადნი დღესასწაულნი, კვირაცხოვლობა, ამაღლება და სხვანი ანგარიშნი თვითოეულის წლისა, იმავე შვიდეულს დღეს, თვის რიცხვს და თვეს მოვლენ, როგორცრომ 532 წლის წინათ იყო მაგალითად ჩვენი ხუთასეული ქრონიკონი დასრულდა 1844 წელსა, ასე რომ 1845 წლიდამ იწყო ახალმან ხუთასეულმან ქრონიკონმან. 1844 წელსა პასქა იყო აპრილის 15. ამწლიდამ რომ გამოხვიდეთ 532 წელი დარჩება 1312 წელიწადი, ამ წელიწადს პასქა იყო აგრეთვე 15 აპრილსა. ქრონიკონი ან დიდი ინდიკტიონი შემოიღო მღვდელმონაზონმა დიონისიმ 516 წელსა ქრისტეს შემდგომ მოსაპოვნელად თუ რომელს თვესა და რომელს რიცხვში დადგება პასქა. ამ ჟამადმდე ე. ი. 516 წლამდინ ამ გვარი აღრიცხვა არსად იყო და რა საკვირველია არც საქართველოში იქნებოდა; საქართველოში, როგორცა ჰსჩანს, აღრიცხვა უწყვიათ 781 წლიდამ ქრისტეს შემდგომ. მაშასადამე ხუთასეული ქრონიკონი გათავებულა 780 და ახალი დამდგარა 781 წელსა. 780 წელს რომ დავრთოთ 284 წელი, მაშინ შეიქმს 1064 წელსა ან ორს სრულს ქრონიკონსა. თუმცა 781 წელს შემოუღიათ ქრონიკონი, გარნა რიცხვი წელთა დასაბამისა დაუდვიათ პონტოს ერა ანუ დასაბამი წელთა აღრიცხვისა, რომელსაც, როგორც ჰჩანს ზემო გამორიცხვისაგან, ჰქონია დასაბამი 284 წელსა ქრისტეს წინათ ისტორიაც ეთანხმება ამას. 1844 შესრულდა ხუთასიასი ქრონიკონი და 1845 იწყო ახალმა ქრონიკონმა. ამ 1844 რომ დაუმატოთ 284 წელი შეიქნება 2128 წელი. 2128 წელი რომ გავჰყოთ 532, დაშთება კერძოობითი რიცხვი უნაკლულოდ 4; ეს ამას ნიშნავს რომ ოთხჯერ ხუთასეული ქრონიკონი შესრულდა 1844 წელსა და 1845 წელს იწყო მეხუთე ხუთასეულმა ქრონიკონმა.

183 წელსა ქრისტეს წინათ ფარნაკ პონტოს მეფემან დაიპყრა სინოპი და სხვანი ქალაქები პონტოს ზღის პირისა; ამ ქალაქების დაპყრობითა პონტოს სამეფომ მოიპოვა დიდი ძალი და ძლიერება როგორც ხმელეთზედ ისე ზღვაში და შეძლება პირის პირ ბრძო-

(1) ჰეროდოტის ისტ. წიგნი 3, § 90.

(2) ჰეროდოტის წიგნი 7 § 76, 77, 78, 80.

(3) ნახეთ საზოგადო ბიოგრაფიის ლექსიკონი (52 ტომად გამოცემული პარიჟში 1811—1852) სტატია სენ-მარტენნის მიტრიდატ III.

ლისა რომაელებთან. თუმცა მიტრიდატ VI ექმნა თანა შემწე რომაელთა ბრძოლათა პირის პირ ჰანიბალისა და გარ-ჯისათვის ჯილდოდ მიიღო დიდი ნაწილი ფრიგიისა, გარნა შვილი მისი მიტრიდატი VII იყო დაუძინებელი მტერი რომაელთა და ებრძოდა მათ დიდხანს. 123 წელსა ქრისტეს შემდგომ მიტრიდატი VII ავიდა ტახტზედ, ყრმა თორმეტის წლისა, ბუნებით ახოვანი, ბრგე და შემმართებელი, თავი დაუდო სწავლასა და განათლებასა, ამას გარდა სიყრმითვე შეითვისა საომარი ზნე და ჩვეულება, ჰქონდა საკვირველი მეხსიერება, იცოდა 22 ენა, გულში ჰქონდა თავის მამულის განდიდება და ამისათვის არა ჰრიდებდა არცა თავსა, არცა წარჩინებულთა და მოყვარეთა. წინაპირველად განიზრახა მოხილვა მოსამზღვრეთა ადგილთა და სამეფოთა, ამისთვის შეუდგა გზასა, ორის მახლობლის კაცითა, სრულიად უცნაურად, დაჰყო მოგზაურობაში ოთხიოდ წელიწადი, თვალით განიხილა გამდგომარეობა მცირის აზიისა. შინ რომ დაბრუნდა, მაშინვე მოაგროვა ძალი, შევიდა კოლხიდაში, დაიპყრა აწინდელი აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სრულიად ბოსფორის სამეფო, ე. ი. ყირიმი, შემდგომად აღძრა შფოთი კაპადოკიაში, მოაკვლევინა მუნებური მეფე და მის ადგილს დასვა თავისი შვილი არიარატ VIII. ეს იყო მიზეზი პირველის ბრძოლისა რომაელთათანა. მიტრიდატმა მოირთო დიდი ძალი, როგორც ხმელეთისა ისე ზღვისა, დაიმონა სრულიად მცირე აზია და წაართო რომაელთა თრაკია და ატენი. რა ესმა რესპუბლიკას განძლიერება მიტრიდატისა, მაშინვე მოაგროვა დიდი ძალი, უჩინა მხედართ მთავრად სილლა და გაისტუმრა დიდის მიტრიდატის საბრძოლველად. სილლამ მახლობელ ხერონისა დაამარცხა მიტრიდატის ჯარი, დაიპყრა საბერძნეთი და გადიტანა ომი მცირეს აზიაში, დაიმონა იონია, მიზია და ლიდია. უღონო ქმნილმან დიდმან მიტრიდატმან ითხოვა ზავი და 85 წლის ქრისტეს წინათ შეეკრა პირობითა რომის რესპუბლიკას. ამდროს მიტრიდატს განუდგნენ ბოსფორელნი; მიდრიდატმა იწყო მზადება და მოკრეფა ჯარისა ბოსფორას დასამონებლად, რომაელთა ჰგონეს რომელ მიტრიდატი ემზადება ბრძოლის განახლებისათვის მათზედ, ამისთვის უბძანეს მერენას უცებ მისვლა საომრად მიტრიდატზედ. მიტრიდატმა ორჯელ დაამარცხა მერენა 82 წელსა ქრისტეს წინათ და შეეკრა რომაელთა ახალის ზავითა. 79 წელსა კვალად დაიმონია ბოსფორის სამეფო, სადაც დასვა მეფედ თავისი შვილი მახარა (ქართული სახელი). ხმელეთის კაპადოკია კვალად იქმნა მიზეზი მესამის ომისა შორის მიტრიდატისა და რომის რესპუბლიკისა. პირველს ყამს მიტრიდატმა დაიმონია პაფლაგონია, ვიფინია და მოადგა ქალაქსა ქიზიყს, მდებარესა მარმარილოს ზღვის ნაპირს, ამ ქალაქის მახლობლად ლუკულმა, მხედართ მთავარმა რომაელთა, დაამარცხა პონტოს მეფე, რომელიც განივლტო სომხითს, იქაც დამარცხდა პომპეისაგან და დანარჩენის ძალითა შეივლტო კოლხიდას, იქიდამ გადვიდა ბოსფორსა, ე. ი. ყირიმსა, სადაც მოინება ჯარის მოკრეფა და განახლება ომისა რომაელთა თანა. მისმა შვილმა შეიტყო ეს აზრი მოიბირნა მხედართ მთავარნი და წინააღუდგა მამას. მიტრიდატმა რა ჰცნო შვილის ღალატი, თავი მოიწამლა და გადიცვალა 64 წელსა ქრისტეს უწინ. გვამი მისი შვილმა გაუგზავნა პომპეის, რომელმან დიდის პატივით მიაბარა მიწას ტაძარსა სინოპის ქალაქში, სადაც იყვნენ დამარხულნი წინაპარნი მიტრიდატისა.

დროს მეფობისა რომის იმპერატორისა ნერონისა პონტოს სამეფო შეიქმნა რომის თემად და ვიდრე 1204 წლამდინ ქრისტეს შემდგომ იყო მონებას ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. ხსენებულს წელიწადს თამარ მეფის შეწევნით ალექსი კომნინმა დაიპყრა ტრაპეზუნი და იწოდა იმპერატორად ტრაპეზუნისა; სიგელებში ტრაპეზუნდის იმპერატორნი მრავალჯერ იწოდებიან მპყრობელად ივერთა და ჭანთა. ეს იმპერია არსებობდა 1461 წლამდინ; ამ წელიწადს ოსმალთა დაიპყრეს ეს იმპერია და ჰქმნეს საფაშოდ (1).

ბ. კოლხიდა მდებარეობდა აღმოსავლეთის და სამხრეთის შავის ზღვის პირზედ; ასე რომ ძველ დროში მთელი პონტოს სამეფო იყო ცნობილი სახელსა ქვეშ კოლხიდა (2), სტრაბონის დროს კოლხიდა ეწოდებოდა იმ ადგილებს, რომელნიც იწყებოდნენ ფსისროსის მდინარის (აწ კოლოპოტამო) შესართავიდამ ზღვაში, ვიდრე ოლდირის მდინარის შესართავამდე, სადაც მდებარებდა ჩინებული ალებმიცემის ქალაქი დიოსკურია (აწ ისგაური (3). კოლხიდა გარემოცული იყო კავკასიის მთა-

(1) უწყება ტრაპეზუნის იმპერიის დაარსებისა სტატტია აკადემიკის კუნიკისა დაბეჭდილი უწყებათა შორის ს. პ. ბ. სამეცნიერო აკადემიისა, 1855, 733.

(2) ქსენოფონტი IV და V წიგნი.

(3) სტრაბონის წიგნი XI თავი I; პლინი წიგნი VI; არიენის აღწერა შავი ზღვის ნაპირებისა გამოცემული გოფმანისაგან ლათინურად, გვერდი 55.

ბითა (ქართულად ლადო), რომლისაც ერთი მომავალი სამხრეთისაკენ გალთა (ლიხის მთები) გაჰყოფს იმერეთსა და ქართლსა. ერთი გალთა ამ მთისა მივა მტკვრის პირამდინ და იცნობება ძველთაგან მოსხის მთად ე. ი. სამცხის მთად ან აჭარისა (აწ სოღანლუღის მთები და გარგა-ბაზარი); მეორე გალთა მტკვრიდამ პირს შეუქცევს ზღვასა და იწოდებიან ფერსათის მთად; რომელიც გაჰყოფს იმერეთსა და გურიას სამცხისაგან; სხვა გალთა ამ მთებისა, რომელნიც შეუდგებიან მტკვარსა, ისახელებოდნენ ძველთა მწერალთაგან კორაკის მთად (აწ ცისე ჯვარი); კორაკის მთებს პონტოს მხარესკენ შეუდგებიან სციდიის მთები და მასუკან ნაჭილობები.

ამ მთების წიაღში ჰქონდათ მრავალთა მდინარეთა დასაბამი, რომელთაგან ღირსია შესანიშნავად:

ა. ფაზის მდინარე (აწინდელი რიონი), ჰქონდა სათავე, როგორც გვაუწყებს პლინი, მოსხის მთებში (1), სათავიდამ ვიდრე შორაპანამდინ იყო ნავით უვალი, და შორაპანიდამ ზღვამდე ნავით სავალი. ამ მდინარეზედ ნავით მიჰქონდათ და მოჰქონდათ სავაჭროები ვიდრე შორაპანამდე, შორაპანიდამ მტკვრამდე ხმელის გზით, და მასუკან მტკვრით კასპიის ზღვამდე, საიდამაც გაჰქონდათ ინდოეთში და ჩინეთში. როგორც ამ აღწერისაგან ჰსჩანს, მდინარეს ყვირილას რაცხამდნენ რიონად და რიონსა ყვირილას შესართავამდე გლაუკად. ფაზისს შეუდიოდნენ მდინარენი: ღიპიუს (ცხენის წყალი), ციანა (ტეხურა):

ბ. აბსარა პლინისა, აკამპსისი არიენისა და ბოას პროკოპისა (აწინდელი ჭოროხი.) თუმცა პროკოპიმ ბოას მდინარის სათავე სწორედ აღწერა, გარნა მდინარის სვალი არის დაუჯერებელი და უგვანი. აი რას გვაუწყებს პროკოპი; „ბოას აქვს სათავე ჭანეთის მთებში, მარჯვნივ აქვს სამზღვარი ივერიისა, სადაც სრულდება კავკაზის მთა. ამ მდინარეს ერთვიან მრავალნი სხვა მდინარენი, დიდდება და მიიღებს ფაზიის სახელსა; ორსავე მხარესა ჰსცხოვრებენ ლაზები და მდებარებს ქალაქი შორაპანი (2). ფაზის მდინარე მოუდიოდა ლაზისტანსა და არა ივერიას, ბოასის მარჯვნივი ნაპირი, როგორც ესლაცა ჰჩანს, ეჭირათ მესხთა, და ამ მდინარეზედ არ იდო ქალაქი შორაპნისა; ეს რასაკვირველია არის ცთომილება გადამწერისა და არა პროკოპისა, ამისთვის რომ იმავე წიგნში და თავში განასხვავებს ორსავე მდინარესა, და მოუთხრობს რომ ლაზებმა მოიყვანეს სპარსთა მეფე ხოსრო სომხითით კერძო, განვლეს ბოასის მდინარე, და რა მისხლოვდნენ პეტრეს ციხესა (აწ ქაჯთა ციხე ქობულეთში), ჰქონდათ ფაზის მდინარე მარჯვნივ. მაშასადამე ბოას და ფაზის მდინარენი იყვნენ სხვა და სხვა. აგრეთვე მეორეს ადგილში პროკოპი ამტკიცებს რომელ ფაზის მდინარე სხვა იყო და ბოას მდინარე სხვა: „ამასობაში მერმერო იმ გაიარა სამზღვარი ივერიისა (ე. ი. სურამი) და ჰქონდა ფაზის მდინარე მარჯვნივ მხარეს". (1) დიაღ, ქართლიდამ რომ შეხვიდე იმერეთში სურამის გზით მისასვლელად პეტრეს ციხედ, მარჯვნივ დარჩება ყვირილა (ძველთა მწერალთა ფაზისი). ამითი ჰჩანს რომ პირველი ჩვენება, როგორც ვჰსთქვით, გადამწერისაგან არის არეული შეცდომა და არა პროკოპისა, როგორც ამტკიცებენ ორნი უკანასკნელნი ჩვენებანი. (2) პროკოპის პირველმა უწყებამ შეიყვანა რომელნიმე სწავლულნი ცთომილებაში, მაგალ., პირველი დუბოა, რომელიც გვარწმუნებს რომ პროკოპის ბოასი არის ხანის წყალი. თუ ეს ასე იყოს, მაშინ ბოასს არ ექნება სათავე ჭანეთის მთებში და არცა ამ მდინარეს მარჯვნივ მხარეს იქნებოდნენ მოსახლენი ივერიელნი როგორც გვარწმუნებს პროკოპი, არამედ ლაზები: მეორე უფ. ემინი (3), რომელიც გვიმტკიცებს რომელ ფაზისი არის ჭოროხი და არა რიონი და უდის სომხითს ადგილებს. აქ სომხითი არც ყოფილა როგორცა ჰჩანს მთელის მწერლებისაგან და არც აწ არის. ეს ადგილები ეჭირათ და ეხლაც უჭირავთ გათათრებულს ქართველებს ანუ მესხთა და ოსმალნი უწოდებენ გურჯისტანად. ამ ადგილს ე. ი. სადაც ჭოროხი მოუდის ეწოდებოდა კლარჯეთი და კლარჯეთი მოსეს ხორენაცის ღეოღრაფიით იყო ივერია

(1) პლინი წიგნი VI თავი 4. სტრაბონი XI § 2 სტრაბონი ჰსწერს რომელ ფაზისს სათავე აქვსო სომხითში. ეს უსაბუთოა, როგორც ვჰხედავთ აწ ადგილების მდებარეობას.

(2) სტრიტერის მატიანე ხალხთა ტ. 4 გვ. 45; პროკოპი ნათარგმნი რუსულად გვ. 288 (წიგნი 2, თავი 29).

(1) პროკოპი წიგნი 2, თავი 30.

(2) არიენი თავის აღწერაში განასხვავებს ამ ორთა მდინარეთ, აგრეთვე პლინი და სხვანი ძველნი მწერილნი.

(3) მოსეს ხორენაცის ისტორია რუსულად ნათარგმნი, გვერდი 344,

და არა სომხითი (1). ამაზედ ამის დაბლა კიდევ ვიტყვი ერთს ორს სიტყვას, აქ კმარა ამაზედ ლაპარაკი. უფ. ემანი დაუმატებს წინა თქმულსა რომ ქსენოფონტი მოიხსენებსო ფაზის მდინარეს, რომელიცა ჰრწყავს სომხითისაო (2). ქსენოფონტი მოიხსენებს არა ფაზის მდინარეს, არამედ ფაზსს. ფაზისისის მდინარე სხვა არის და ფაზისა სხვა. არეზის სათავეს უწინ და ახლაც უწოდებენ ფაზად ადგილის გამო ფაზიანი ან ბასიანი. კიპერტეს ქარტაზედ ახლაც ჰჩანს ფაზინ სუ (ე. ი. ფაზის მდინარე), ეგ არეზია, რომელსაც სათავე აქვს ბასიანის ქვეყანაში.

მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის უკან იმპერატორმა ადრიენმა დანიშნა მმართებლად პონტოსთემისა არრიენი, ამან აღწერა ეს ზღვის ნაპირები და მოუთხრობს (3) რომელ კოლხიდა იწყების ლიზის მდინარეს შესართავიდამზღვაში, ამმდინარის მარჯვნივ ნაპირებისა ჰსცხოვრებენ მახელონები და გენიოხები, რომელთაც პლინი სახელ ჰსდებს ჭანად გენიოხად, ამათ ჰყვანდათ მეფე ანხიალუსი (4); სცილაქს უწოდებს ამ ადგილს კეხეირად (ქართველების ეგლეცი და სომხების ეგელეცი); ამის შემდგომ მდებარებდა ზღვის პირზედ ზუდრეთი (აწ ქობულეთი, აჭარა, იმერხევი, შავშეთი და კლარჯეთი), ეკუთვნოდა ივერთა მეფეს ფარსმანს (5); ზუდრეთის შემდგომი იყო ლახივა (ე. ი. აწინდელი გურია. აქ მეფობდა მელასი;

ამის უკან იყო აპსილი (აწინდელი სამეგრელო). აქ მეფობდა იულიანოსი; ამას მოსდევდა აბაზგია (აფხაზეთი), მეფეთ იყო რესმაგი, და დასასრულ სანიგარი (ჯიქეთი), სადაცა მეფობდა სპადაგას; მეექვსე საუკუნეში როგორცა ჰსწერს სომეხთ ისტორიკოსი მოსე ხორენაცი თავის ქვეყნების აღწერაში კოლხიდა განიყოფებოდა ოთხ თებად: მაგნეგიდი, აკრიუგა, გაზივი და ჭანივი ან ხასტიგი.

(1) მოსე ხორენაცის ღეოღრაფია სენ-მარტენი 2. ტ გვერდი 357. სომხებს კლარჯეთი გვხარად ჩაუთვლიათ. საქართველოს ამავე ღეოღრაფიით ეკუთვნოდა; არტაანი, შავშეთი ჯავახეთი, სამცხე, აჭარა და სხვანი, რომელნიც შეადგენდნენ ჭოროხის მხარეს და არა სომხითისა.

(2) წიგნი 4, თავი 6.

(3) გვერდი 55 გოფმანისაგან გამოცემული.

(4) ეს ადგილი აწ არის ლაზისტანი.

(5) ფარსმან III იყო თანა მედროვე რომის იმპერატორის ადრიანისა, იყო რომის ქალაქში, მიიღო დიდი პატივი ხსენებულის იმპერატორისაგან და საჩუქრად ებოძა 500 ალჭურვილი მხედარი კაცი და მისცა ნება მსხვერპლის შეწირვისა კაპიტოლიაში. იმპერატორმა ალუმართა ბელონის ტაძარში ცხენოსანი ანდალმა. ნახე ბიოგრაფიულს ლექსიკონში სტატია სენ მარტენისა; მიტრიდატე III.

უფალი სენ მარტენი (ტ. 2, გვერდი 388, შენიშნულობა 65), გვაუწყებს რომელ მაგნეგიდი არის პტოლომეას მანრალი ან აწინდელი სამეგრელო; აკრიუგა არის ეგრეგტიკა პომპონიის მელასი (წიგნი 1, თავი 191) და პტოლომეისა (წიგნი 5, თავი 10). აკრიუგა უფრო არგვეთია, აწინდელი იმერეთი, ვიდრელა ეგრეგტიკა. ეგრეგტიკა არის სცილაქსის ეგახიერი (აწ ლაზისტანი); გაზივი (ლაზისტანი, ე. ი. გურია და ნაწილი იმერეთისა); ჭანივი ან ხალდეა (აწ ჭანეთი, პონტოს სამეფო).

ძველს დროში კოლხიდა შეადგენდა საქართველოს მხარესა განიყოფებოდა, როგორც ჰსწერს ვახუშტი 5 საერისთაოდ: ეგრისი (სამეგრელო), მარგვეთი ან არგვეთი (იმერეთი), წუნდა და არტაანი (აწ სამცხე); ოძრხე (გურია); კლარჯეთი (აწ სპერი ან ისპირის ხეობა და ტაო). პირველს საუკუნეში ქრისტეს შობის უწინ კოლხიდა ემორჩილებოდა პონტოს მეფეთა და შემდგომ პონტოს სამეფოს დაცემისა იყო აქ სამი დაუმოკიდებული ერთმან ერთისა სამთავრო: ლაზისტანი, სამცხე და ჭანეთი. მეორე საუკუნეში ლაზებმა დაიპყრეს იმერეთი, სამეგრელო და შეადგინეს სამეფო, რომელიც მეხუთე საუკუნეში, იქმნა შორის ვიზანტიელთა და სპარსთა მიზეზი ბრძოლისა 472 წლიდამ ვიდრე 562 წლამდინ (1). სამცხეში აღმოჩნდნენ ბაგრატიონები, რომელთაც მოსპეს ლაზის მეფობა, დაიმონეს იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და მასუკან ქართლი და კახეთი; ჭანეთი იყო თემი პირველად რომისა და შემდგომ ვიზანტიის იმპერიისა ვიდრე 1202წლამდე; ამ წელსა ალექსი კომნენმა შეწევნითა თამარ მეფისა დაიპყრა ტრაპეზონი და იწოდა მეფედ ივერთა და ჭანთა; ამისი მემკვიდრენი ჰფლობდენ ტრაპიზონში, ვიდრე დაპყრობადმდე ოსმალთა 1461წლამდინ.

დ. ჩუბინოვი

(შემდეგი იქნება)

## ოსმალოს საქართველო

### აჭარა

აჭარა, როგორც წინათ მოხსენებული იყო, მდებარებს ეხლანდელ სამძღვარზე ახალციხის და გურიის უეზდებისა და სდევს აჭარის და ახალციხის მთებს იქით სამხრეთ მხარეს, ამ მთისაგან არსიანის მთის ქედი დაეშვება. ამ ორის მთისა მრავალი წვრილი ქედები ტოტებივით იფინება მთელ ქვედა და ზედა აჭარაში და მრავალ ხეობებათა ჰყოფს ამ მშვენიერ მხარეს საქართველოისას, რომელშიაც მომდინარეობს წვრილი მთის

(1) მატიანე სტრიტერისა მეოთხე ტომი ლაზიკა.

წყლები კალმახით სავსე. ზედა-აჭარაში უმთავრესი ხეობანი ხუთნი არიან: ხულოსა, გორჯომისა, ბეღლეთისა, სხალტისა, მირეთისა და ჭვანისა. ამ უკანასკნელ ხეობას გარდა დანარჩენებზე არსიანის მთის ტოტები ჩამოსდევს.

თვითეული ხეობა კარგა საკმაოთ ანიერია, სახნავ-სათესად და საძოვრად კარგის მინდვრებით შემკულია, ყოველ მხრიდამ მთის წყლები ჩამოჩუხჩუხებს და ერთვის შუა ხეობის წყალს. უმაღლეს მთებზე არსიანის შიშველ ადგილებს ვხედავთ, და რაკი დადაბლდება იმოსება მდიდარის წიფლის, თელის, მუხის ტყით. ხესილი აქ ყველას ხარობს, ზეთის ხილი კი ცოტათ მოდის აქა-იქა დაბლობ ადგილებში. ვაშლი და მსხალი ისე ბლომათ მოდის, რომ გააქვთ ახალციხეს, ოზურგეთს, არტაანს და თითქმის ალექსანდროპოლშიაც. ვენახი ხშირია და ასე გაშინჯეთ ამ რამდენიმე წლის წინათ ახალციხელები იქ მიდიოდნენ თურმე, ღვინოსა სწურავდნენ და გადმოჰქონდათ. მკათათვეში, როდესაც ბალი არსად არ მოიპოვება თქვენ შეგიძლიათ გურიაში ნაგომარზე იარმუკობას (ქალაქობას) იშოვნოთ.

მიწა მომცემი მიწაა: მომატებულათ მოჰყავთ სიმიდი და ცოტათ ხორბალი და ქერი. რადგანაც სიმინდმა უფრო მოსავალი მეტი იცის და რადგანაც სახნავ-სათესი ადგილი ნაკლებია, ამისგამო ხორბალს და ქერს ნაკლებათ სთესენ. წინა წლებში თამბაქო მოჰყავდათ, მაგრამ ბოლოს დროს რადგანაც აქციზი შემოვიდა, თითქმის აღარა სთესენ.

საქონელს ძალიან ბევრს ინახვენ ზედა აჭარაში, მეტადრე სოფლებში: ბაკოს, ხიხობირს, ზემო და ქვემო თხილვანს, გორჯომს და ნაგორევს. სამზღვარზე მდებარე სოფლებიდამ დიდძალი კარაქი და ერბო გად მოაქვთ ჩვენვენ გურიაში და ამით კარგი სარგებლობა აქვთ. არტაანისკენ გაჭრობა კი ვერ ეხერხებათ რადგანაც ქურთები დგანან და ბევრი საქონელი ჰყავთ. მაინც კი აჭარაში იმოდენა საქონელს ინახვენ, რომ მარტო ზედა აჭარიდამ საქონლიდამ ას სამოცი თუმანი შემოსავალი აქვს ოსმალოს მთავრობასა. საქონელს გარდა ყოველ მოსახლე ეს ათიოდე ცხვარი და თხა ჰყავს და თითო ცხენი.

ეს ლამაზი კუთხე საქართველოსი საკმაოთ გამდიდრდებოდა, ცოტაოდენი რიგიანი გზები რომ ჰქონოდა, მაგრამ გზები ისეთი საძაგელი აქვს, რომ მარტო ცხენი თუ ივლის, თორემ ურმის ხსენება არ არის. მმართებლობა ამაზე არა ფიქრობს, წყლებზე თუ სადმე ხიდია, ისიც ძველის-ძველად აშენებულია, საქართველოს მეფეების დროინდელია. ამის გამო ვაჭრობა და მისვლა-მოსვლა ძნელდება. ამისათვის სავაჭრო დუქნები აქა-იქა ძალიან ცოტაა და ადგილობრივი მცხოვრები მედუქნე ვერ შეგხვდებათ, ან სომეხია, ან ბერძენი ან ოსმალო. აქაც ქართული ანდაზა მართლდება, სომეხი დუქანზე და ქართველი გუთანზეო.

მთელი მოსახლეობა აჭარისა ქართველობაა. აი რას ამბობს მოგზაური დამწერი ფრიად შესანიშნავის და ძვირფასის წიგნისა „სამი თვე ოსმალოს საქართველოში“, რომლიდამაც ჩვენ ვკრებთ ცნობასა. „სოფელ გორჯომს რომ დავეშვით შორიდამ ნახირი დავინახეთ; ამასთან მოჩანდა ხალხი—პატარა ბიჭები. იმათი წივილი და ყლავილ-ყლოყვილი მოგვესმოდა. აჭარლები პირველათ ვნახე და ვფიქრობდი, ნუ თუ ერთმანერთს თათრულათ ელაპარაკებიან? ნუ თუ საქართველოს არსება აჭარაში გაქარწყლდა? ბოლოს ახლოს მივედით და..... ღმერთო და ბედო! თურმე ჩვენი ყოფილა, ჩვენი! ბალღები ქართულათ იგინებოდნენ.“ ჩვენ მკითხველებს აჭარული ლექსები წავაკითხეთ და ნახავდნენ რომ დღევანდლამდე სახალხო არამც თუ ლაპარაკი, ლექსებიც კი დარჩა. მაგრამ განვაგრძოთ მოგზაურის სიტყვა: „ჩვენი მისვლა რომ დაინახეს ყმაწვილები დაჩუმდნენ და ეს პატარა მთიულები გზაზე შეიყარნენ ჩვენ საყურებლათ. ჩვენ დავდეგით. თუთხმეტიოდ ყმაწვილი ბიჭები იდგნენ და რამდენიმე უფრო ჭაბუკი. მაგრამ უნდა შეხედოთ რა მშვენიერის სახისანი არიან. ძონძები რომ გახადოთ, გეგონებათ დიდ-კაცის დარბაზში გაზრდილები იყვნენო, ისეთი თეთრ-წითელნი და ლამაზნი არიან. ჩვენ მთიულებსა გვანან და თანაც გურულების სახის იერი მოსდევთ... ვინც კი შეგვხდა სულ ტანადნი, მხარბეჭიანნი და თვალადნი იყვნენ. სუფთა გადაწმენდილი სახე, ცოტა მოდიდო ცხვირი და მავარდნის შეხედულობა, გრძელი და ხშირი თმა ყაბალახ შემოხვეული—ესე ყოველი წარმოგიდგენთ აჭარლის სურათსა....ტანისამოსი გურული აცვიათ. სარწმუნოებით მაჰმადიანები არიან, შინ ოჯახობაში ქართულათ ლაპარაკობენ, თათრული (ოსმალური) ენა ხანში შესულმა კაცებმა იციან. დედაკაცებმა და ყმაწვილებმა ცოტათ იციან. ამ თხუთმეტიოდ წლის წინათ არა ყოფილა ასე გავრცელებული თათრული ენა რომ დედაკაცებს ცოტაოდნათ მაინც სცოდნოდათ, და საკვირველია ასე მალე თათრულმა ენამ როგორ გაიდგა ფესვები აჭარაში“.

ამ ფრიად სამწუხარო შენიშვნამ ძალიან უნდა დაგვაფიქროს და ქართველობის მოყვარის მხრით შრომას ითხოვს.

მეჩითებთან შკოლები აქვთ, რომელშიაც მარტო არაბულ კითხვას ასწავლიან, და არაფერი კი არა ესმისთ რა. ქართული წიგნის მკითხველი თან და თან კლებულობს და ამგვარათ ხალხი უწიგნოთა არის. ხალხი თუმცა მოსურნეა სწავლისა, ოსმალოს მმართებლობა რიგიან

სასწავლებელს არა მართავს, რომ სწავლა ქართულს ენაზე იყოს და მარტო მაჭმადიანთ სამღთო წიგნების საკითხველად მოლები არაბულის ასოების ჩათვლასა სწავლიან; ეს გარემოება ისეთ ნაკლულევანებათ არის ნაგრძნობი, რომ როგორც ნამდვილ სანდო კაცებისაგან გაგვიგონია, მოლებიც კი საჭიროებასა გრძნობენ ქართული წერა-კითხვა ისწავლონ და როდესაც კი შემთხვევა მისცემიათ საქართველოში გადმოსვლისა ან თავიანთში ქართულის წიგნის მცოდნე უნახავთ, მაშინათვე წერა-კითხვა უსწავლიათ. აქ მხოლოდ სახარების სიტყვას ვიტყვით: „რომელთა აქვნ ყურნი სმენად, ისმინნენ." ღმერთს მადლობა უნდა შევწიროთ, რომ მოლები, რომელნიც თვით აჭარლები არიან, შორს არ იჭერენ ქართულ ენასა და პირიქით სურვილი ჰქონიათ.

ამას გარდა ზოგიერთ ბეგებსაც შვილებისათვის ჩვენი ქართველი მასწავლებლები უნდათ, მაგრამ იქ მიმსვლელი ისეთი არავინ არა ჩნდება, რომ თავისის დამჯდარის ხასიათით ნდობა ჰქონდესთ.

ზნეობით აჭარლები მხნენი არიან. თოფის სროლა და იარაღი უყვართ და ძველი თავადისშვილების (ბეგების) მომხრენი და მორჩილნი არიან. ჩვენში აჭარლებს ცუდი ხმა აქვთ დავარდნილი და იტყვიან კაცის თავი სხვის თავათ მიაჩნიათო, ქურდები და ავაზაკები არიანო. ქვედა-აჭარაში და ქობულეთში რამდენიმე სოფელი მართალია ქურდობით გათქმულია, მაგრამ მთლად აჭარაზე კი ამისი თქმა ცილის წამებაა. ზედა აჭარაში ქურდობა და ცარცვა იშვიათია.

შინაურობაში აჭარელი ისეთივე მთიულია, როგორც არაგვზე და თერგზე. მოხიცებულის პატივისცემა, სტუმარ-მოყვარება, თავის დაჭერა, ცნობის მოყვარება და ამასთანვე დიდი შრომის მოყვარება აჭარლის პირველი თვისებაა. მთელი დღე კაცი მინდორში შეუწყვეტლათ მუშაობს, დედა-კაცი ოჯახში. ყმაწვილი რა კი მოჩიტდება, მაშინვე მწყემსად გადის. ტყეში გდება და მარტოობა რასაკვირველია ცუდათ მოქმედებს ყმაწვილის ხასიათზე და ამიტომ აჭარელი გარეშე კაცთან უცხოობს, ველურსა ჰგავს. მაგრამ ეს უნიჭობათ კი არ უნდა ჩავთვალოთ. ჩვენს ხევსურს ისინი ჰგვანანრ ომელსაც ეუცხოვება ყველაფერი.

აჭარლებს კარგათ ახსოვთ რომ ჩვენნი ძმანი არიან, მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებით. ძველი შენობების, ციხების და ეკლესიების პატივის ცემა აქვთ და იციან, რომ საქართველოს მეფეების აშენებულია. ზოგიერთის სოფლის პატივისცემა ისეთი აქვთ, რომ ხელის ხლება დიდ ცოდვათ მიაჩნიათ და სასწაულებსაც ლაპარაკობენ. ორს ხოჯას სხალტის ეკლესია, (რომელიც უკეთესია თავისის შენობით დამხატვრობით სვებზედ მთელ აჭარაში) უნდოდათ მეჩითათ გადაექციათ. საყდარმა ორივ ჭკუაზე შეშალა და ტყეში მხეცებივით ატარაო. ერთმა მეცხვარემ ზამთარში ცხვარი ამავ საყდარში შერეკაო, ხატი გაწყრა, ორასი სული ცხვარი დაუხოცა და თითონ მწყემსს კისერი მოუგრიხაო. ამისთანებს ლაპარაკობენ აჭარლები.

ხირხათის ციხეზე აჭარლები ამბობენ თამარ მეფის აშენებულიაო. ამ ციხედამ თამარმა ზარზმამდის გვირაბი გააკეთებინა და დადიოდა ხოლმეო, რადგანაც ლანგთემური გზაში ჩაუდგა და დაჭერა უნდოდაო. ერთის ბერისაგან შეიტყო ლანგთემურმა ეს ამბავიო, ზარზმას წავიდა და თამარ მეფეს გამოსვლაზე უდარაჯაო. დადგა შაფათი, დედოფალი ცისკარზე მივიდა ზარზმასა. ამ დროს ლანგთემური ჯარით შემოერტყაო. თამარ მეფემ რომ სხვა ველარა მოაგვარა რა, საწამლავი დალია და თავი მოიკლაო.

ამ გვარი ხალხის თქმულობა გვაჩვენებს აჭარლების დასხომებას წარსულის ცხოვრებისას და პატივის ცემას.

სამართალი აჭარაში მარტივი და უხარჯოა. სოფლის სასამართლო ანუ მეჯლისი იმ გვარივეა, როგორც ჩვენი სოფლის სასამართლოები. მოსულნი ამოირჩევიან ხალხისაგან და ამას გარდა ყადიცა, სოფლის მოლა. მერე ამაზე უფროსი სასამართლო ადგილი არის მუდირი (უჩასტკის ნაჩალნიკი) და იმისი მეჯლისი; კაიმაკამი (უეზდის ნაჩალნიკი) მეჯლისით. მაგრამ ამასთანავე ბეგებთან ხშირად მოდიან საჩივლელად და ესენი სამართალს აძლევენ. ზემოხსენებული მგზავრი მოიხსენებს ერთს ამბავს.

გზაზე შარიფ-ბეგი ხიმშიაშვილს დახვდა ხალხი, თითო თითოდ მოდიოდნენ კალთასა ჰკოცნიდნენ, მერე მოკითხვის შემდეგ ბეგმა გამოჰკითხა ამბავი. ერთმა მოხუცებულმა იჩივლა, რომ ქალი შინიდამ გაიქცა ამა და ამ ოჯახიდამ საქმროსას და შინ აღარ ბრუნდება. დედ-მამას იმ კაცის სიძეობა არა სურთო. ეს ამბავი ძალიან ეუცხოვათ იქ მყოფთა. ამ ლაპარაკის დროს მოვიდა ქალის მიჯნურის მამა და ბეგს მოახსენა, რომ ყოველივე მართალია. ჩემს სახლშია ქალიო და აი აგერ აქ მოვიდაო. ბეგს აჩვენა ჩადრში შეხვეული ყმაწვილი ქალი, რომელიც ჯაგებში იმალებოდა და ვერ გაებედნა ბეგთან მოსულიყო, თუმცა კი ამ აზრით იდგა. აღმოჩნდა რომ, თურმე ქალის ძმა ყოფილა წინააღმდეგი. ბეგმა დააძახებინა ძმა და უთხრა, რომ დას ნუ აუბედურებ, უნდა ეგ ყმაწვილი და მიეციო. სიტყვა გამოართვა, ქალის ძმამ კალთას აკოცა და სასიძოს მამას გადაეხვია. ეს შემთხვევა რო არ ყოფილიყო, იქნება სისხლი დაღვრილიყო.

ამ გვარათ ბევრჯელ საქმეები თავდება.

პ. უ.

---

## ქალაქის სცენებთაგანი

## ხათაბალა

ახლაც იტყვით სიზმარი ტყუილია, არ ახდება. აჰა თუ არა ხდება, მარა ჯანაბაა, მე როთავს ხათაბალა გადმეკიდა! ბატონო, სიზმარი ვნახე, დამდგომია ერთი წვერიანი ცხინვალელი ურია დასწყევლა ჩემმა წმინდა გიორგიმ! გადმოუშლია ბოხჩა და სულ სპეტაკ-სპეტაკს პერანგებსა და პერანგის ამხანაგებს წინ მიყრის და მიყრის: ეე ჩემო ბატონოვო! ვიცი ორი პერანგის მეტი არა გაქვსო, მიირთვი ჩემო ბატონოვო; თუ შენვე ამეებს სულ დარეცხამო, სულ მუქთათ მოგართმევო, აბა მაიტა მეთქი. დავიწყე რეცხა. მოაქვს ამ ურიას უთვალავი და მოაქვს. ვდგევარ და ვრეცხავ ერთის ყოფითა და თანა ვფიქრობ, ერა ხათაბალა გადმეკიდა მეთქი. იმდენი ვრეცხე, იმდენი ვრეცხე სანამ გამეღვიძებოდა. არ დაიჯერებთ, დილაზე ისეთი მოქანცული ავდექი, თითქოს მართლა სარეცხი დამერეცხოსო, სულ მკლავები მტკიოდა.—აი დაგწყევლა ღმერთმა მეთქი! ვინ კაცი და ვინ სარეცხი! მაგრამ ეს ეშმაკური სიზმარი, ნეტა ვიცოდე, როგორ ამიხდება მეთქი? დედაკაცებმა მითხრეს, ხათაბალა რამ გადაგეკიდებაო, ზიანსა ნახავ და ან დაჰკარგავ რასმეო. ძაან ჯავრი მამივიდა და გულში დამრჩა ი შეჩვენებული ურია.

შემოდგომაზე ქალაქში ჩაველი. წინათ რაც მოსავალი მქონდა ჩემ ბიძაშვილს ვატანდი გასაყიდათ და ეშმაკათ რაც ე მაშინა გააკეთეს, თუთხმეტჯერ დავაპირე. ბოლოს დაუდევ ლობიო, ფქვილი და გავწიე, ჩავიტანე ქალაქში. მედა ჩემა ღმერთმა, რიგიან ფასათ გავყიდე. ახლა მინდოდა ქალაქი დამევლო და მენახა. მამაჩემი რომ აზნაურობას იმტკიცებდა, ხუთი-ექვსი წლისა ვიქნებოდი და თანა ვყავდი, ქალაქი სიზმარივით მახსოვდა. ჩავიარე თათრის მეიდანზე საპონის საყიდლათა; მივადექ ერთ დუქანსა. მიდის ხალხი და მოდის ამ დუქანში: აი ხათაბალას გაუმარჯოს, აბა ხათაბალ, ეს ამიწონე, ხათაბალამ მამატყუაო, იძახის ეს ხალხი. რას მიჰქარავს ეს ყურუმსალი ხალხი? მე ხო არ დამცინის ახალ მოსულ კაცსა მეთქი? მაგრამ ისე გაყურჩებული ვარ და არ შევისადარე, აგება ხმა ჩაწყვიტონ მეთქი. შენც არ მამიკვდე! რაკი დუქანთან კაცი მოვა, მაშინვე ხათაბალას იძახის. მამაგონდა ის შეჩვენებული ურია და ყელში სისხლი მამაწვა. დაიძახა კიდევ ვიღაცამ, ხათაბალაო. მოუბრუნდი: შენ ვის უბედამ, რომ ხათაბალას იძახი მეთქი? საყელოში ხელი ჩავავლე: აბე ერთი კიდევა თქვი მეთქი!—გიჟი ხარო?... მე შენ გიჟს მოგცემ მეთქი; აზნაურშვილი გახლავარ, შე მურდალო მეთქი. დაგვეხვია თავს ხალხი, გამაშველეს... თურმე ნუ იტყვით, იმ დუქნის პატრონის სახელი არა ყოფილა! დალახვრა ღმერთმა თქვენი თავი მეთქი, მოვდივარ და ვფიქრობ ე რა ხათაბალაში ჩავარდი მეთქი! გავიარე პატარა, ვხედამ, კედელს ერთი ვეებაერთელა ქაღალდი აკრავს და ზედ ასეთი ვეება ერთელა ასოები სწერია, რომ თითო ასო მოკრივე კალატოზიშვილის მუშტების ოდენა იქნება. წავიკითხე: და აი დასწყევლა ღმერთმა, ხათაბალა არ ეწერა! ეს უთოოთ ქალაქური მამაძაღლობა იქნება მეთქი, ქვეშაც წვრილათ ეწერა; ვიფიქრე, შაირებს დაუწერიდნენ ვისმე მეთქი... გავიარე პატარა, კიდევ ისე ვეება ქაღალდზე ხათაბალა სწერია. ახლა კიდევ ავიარე და კიდევ ისე. ერთი სიტყვით საცა კი გავიარე, სულ ასე დამხვდა. ვიფიქრე მოდი წავიკითხო მეთქი. წავიკითხე და „სომხური მოქმედება წარმოდგებაო." მაგას რაღა ფიქრი უნდა მეთქი, სომეხთან თუ საქმეს დაიჭერ, ხათაბალა წარმოდგება მეთქი. ახლა კიდევ წავიკითხე: ერთკენ სომხები სწერიან და ერთკენ სუ თავადიშვილები და აზნაურები, ჩვენი ქართლის აზნაურებიც დაეწერათ. აქ ერთი დიდი ამბავი უნდა იყოს მეთქი. ის სომხები ფულის პატრონები იქნებიან და უთოოთ ქართველებისთვის უსესხებიათ. კიდეც ამიტომ ისე პირდაპირ დაუწერიათ სომხები და ქართველები. აი თუ მართლა ხათაბალაში ჩავარდნილან მეთქი. მაინც გული არ დავაჯერე, რავიცი ქალაქში ოინები ბევრი იციან და ერთ ხათაბალაში მეც არ ჩავარდე მეთქი, ის წყეული ურია მამაგონდა კიდევა.—ერთი შკოლის ყმაწვილი დგას და კითხულობს. ვკითხე, რა სწერია, მეთქი. ქართული თრიატრი იქნებაო. ახლა მითომ რა იქნება მეთქი? თამაშოვის ქარვასლაში რო თამაშობდნენ, არა ყოფილხარო?—აი რო დამწვარა, მეთქი? ჰო იქაო. თავი მოვარიდე, ხათაბალიანი ადგილი ყო-

ფილა, წავიდე ჩემ გზაზედა მეთქი. თურმე თამამშოვის ქარვასლის საქმის თაობაზე ყოფილა ის ქაღალდი. ამოვიარე ზემო დუქნებისკენ, გარეთ ჩამოკიდებული ჩექმები ვნახე და ერთი ძალიან მამეწონა, ყელები სულ ასე ბწყინამდა რო თითქო სარკე იყოსო და სულ ფერადი ძაფის ყვავილებია ნაკერი. შევევაჭრე, მივეცი თუმან ნახევარი. მემრის მაინც ქორწილს ვაპირობ მეთქი და მეორეთ ქალაქში იქნება აღარც კი ჩამოვიდე, ბარემ ვიყიდი მეთქი.—წავედი შინ ჩავიცვი სანდლის ფერი კაბა, ეს ახალი ჩექმები, შალვარი შიგ ჩავიკეცე, ყელზე ახალი ბაღდადი, ქუდი ჩავიტეხე, როგორც აზნაურშვილს ეკადრება და წაველ ბაღში. ერთ სკამზე ჩამოვჯექ და უყურებ ამვლელ—ჩამვლელსა. რა მილეთის ხალხი გინდა, რომ იქ არ დადიოდეს. ამ ხალხში ორმა ქალაქის ბიჭმა გაიარა ერხელ; პატარა ხანს უკან გამოიარეს მეორეთ და სუ ჩექმებში მიყურებენ. ფეხი ფეხზე გადავიდე და ვფიქრობ, თავის უქუსლო ყელიან ფაფუჭებთან ვერ მოეწონათ მეთქი! მივიხედე კიდევ, ისევ ის ბიჭები არა ვნახე!? ძალიან ცხარეთა ლაპარაკობენ. ბოლოს მოვიდნენ ჩემთან. რაგინდათ შვილოსა მეთქი? ერთმა დაიწყო:

— კნიაზო, ერთი ოცდა ხუთი მანეთი უნდა მომაგებინო, შენი ჭირიმე. ეს ბიჭი ახირებულა ამ კნიაზს ფეხზე ექვსი თითი აქვსო. მე ვეუბნები: რას მიჭქარამ კნიაზი კაცია, ექვსი თითი რათ ექნება მეთქი. ეს გაჯინიანებულა და ახლა სანაძლეო დაგვიდია: ამან ოცდა ხუთი მანათი ამოიღო და მე ხუთი მანეთი.

რას მიჭქარამთ, თავიდამ მამშორდით, რაებსა ლაპარაკობთ, ქვეყანა აქ დადის, ბეაბრუთ გინდათ გამხადოთ მეთქი.

— არა, კნიაზჯან, ხელდახელ ოცდა ხუთ მანეთიანი უნდა მამაგებინოთ და თუ მოვიგე სადილათაც ქეიფს გაგაწევინებთო. თუ უკაცრავათ არ ვიქნებით, ერთი ფეხი გაგვაშინჯვინეთო.

რა ხათაბალა გადამეკიდეთ მეთქი! აჰა, ჯანაბას, გამხადეთ მეთქი. გაუშვირე ფეხი და გამხადეს.

— აჰა, რო ვეუბნები, კნიაზი კაცი ბძანდება მეთქი, ექვსი თითი არ ექნება! აი კნიაზის ჭირიმე რომ ოცდა ხუთი მანეთი მომაგებინა.

მეორე უარზე დადგა: არაო, მე ხო ეგ ფეხი არა ვთქვი, მეორე ვთქვიო.—დამეკარგენით რას ჩამაცივდით მეთქი, გიჟები ყოფილხართ, თუ საქმე არა გაქვთ? ამოიღო ი ბიჭმა ოცდა ხუთი მანეთიანი და ამხანაგს ეუბნება.

— აჰა, ამამიღია და მამიცია, თუ მეორე ფეხზე ექვსი თითი არა ჰქონდესო.

დამეღრიჯა მეორე, გეთაყვა კნიაზო, ბედსა მწიე შენ სადღეგრძელოთაო.—გაუშვირე მეორე ფეხიცა. გამხადა იმ ოცდა ხუთი მანეთის მძლეველმა და ორივე ჩექმა ხელში უჭირავს. გაშინჯეს ორივემ.

— ახლა ხომ მოგიგე, ახლაც უარზე ხარო?

— არ გაძლევო, მეორემ უთხრა. ახლა ასე ხელ და ხელ ოცდა ხუთ მანეთიანი ოხრობაა, დამტყუოვო.

გამართეს ერთმანერთის ლანძღვა. ერთი ვითომ არ უშვებს, მაიტა ჩემი მოგებაო. მეორე ეწევა და თავი უნდა მოაშოროს. მე სეირს ვუყურებ, ვნახო ერთი რა გამოვა მეთქი. დაებღაუჯნენ ერთმანერთსა, ოც და ხუთი მანეთის მძლეველს იღლიაში ჩემი ჩექმები ეჭირა, ხელიდამ გაუსხლტა და გაექცა; მეორეც ყვირილით უკან გამოუდგა, დაიჭით, დაიჭითო. ჩაირბინეს ქვემოთკენ და ველარა ვნახე. რო წამოვდექი, ფიქრზე მაშინ მოველ: ვაი შენ ჩემო თავო, იმ ყურუმსაღებს თურმე ჩემ ჩექმებზე არა ჰქონდათ ეს ამბავი მეთქი! ორ ხათაბალას გადურჩი და მესამეზე კი ამისთანა ოინი მომივიდა. ახლა იტყვით სიზმარი ტყუილიაო.

1877 წ. თიბათვის 3-სა

ანჩისხატის უბნელი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюнія 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.